საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 17 ოქტომბერი. 2017 წ. №213 (8350), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ძალადობა ხელისუფლებაში მოსასვლელად!

გათავხედებული ნაციონალების კვირის აქციამ გაათვალსაჩინოვა და ცხადი გახადა ამ დამნაშავე, ყველაფრის მკადრებელი, მავნე პოლიტიკური ძალის ერთადერთი მიზანი – რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ისევ მოვიდნენ ხელისუფლებაში. ამ მიზნის მისაღწევად ნაციონალების უმთავრესი იარაღია დემაგოგია, პროვოკაცია და ცილისწამება, რასაც ერთგვარი წარმატებითაც ახორციელებენ როგორც აშკარად ანტისახელმწიფოებრივი, ეგრეთ წოდებული საპროტესტო აქციებით, ისე „ცრუსთავი-2“ის სადღეღამისო ცრუპენტელური, პროპაგანდისტული მაუწყებლობით.

ისინი გულუბრყვილო ამომრჩევლის იმედად არიან, რომელ ამომრჩეველსაც რიტორიკული ლაქლაქით არწმუნებენ, ჩვენ განახლებული ნაციონალები ვართ, თანაც გაკეთილშობილურებიო.

არა და არა, მოძალადე, ფარისანა სააკაშვილის პოლიტიკურო ნარჩენებო, თქვენი განახლება და გაკეთილშობილება ისევე შეუძლებელია, როგორც მგლის – ცხვრად ანდა გველის კალმახად გადაქცევა!

თქვენი პოლიტიკური ფაფხური ამაოა. ხალხს არც დავიწყებია და არც დაივიწყებს, რანი იყავით გუშინ და რანი იქნებით ხვალ. ხალხმა ისიც კარგად იცის, რომ წყალწაღებულნი ხავსს ეჭიდებით, რაც თვალნათლივ გამოჩნდება 21 ოქტომბერს, როცა ბოროტს ერთხელ კიდევ სძლევს კეთილი.

ყველა გალელი „ბინადროების მოწმოების“ აღებას არ ჩქარობს 8

ზუგდიდის მაჟორიტარობის ოთხმა ნაციონალმა კანდიდატმა არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა 2

მოსახლეობის მესამედი სახელმწიფოსგან შემწეობას ითხოვს 4

რატომ შეიკრიბა მეთოთხმეტედ საერთაშორისო მეცნიერული საზოგადოება? 5

ოპერაცია „სააკაშვილი“: მიხო პოროშენკოს დამხობაში ბულდოზერის როლს შეასრულებს 8

აზიურ ფარისანასთან ბრძოლის რეკომენდაციები 11

ექიმებისა და ექთნების დონე უნდა შემოწმდეს! 11

გოჩა კურდღელია: ფოთელობა ისეთივე ბედისწერაა, როგორც ქართველობა...

იმედია, ფოთელები მხარს დაუჭერენ პატრიოტებს, განათლებულ პიროვნებებს, პროფესიონალებს. ჩვენი გუნდი სწორედ ასეთი ახალგაზრდებითაა შევსებული. 3

პაატა ნაცვლიშვილი – 65

ფოტოსესიები

ავტობიოგრაფია ლექსებად

მეტროსადგური „უნივერსიტეტი“

თბილისის მეტროპოლიტენს 23-ე სადგური შეემატა — მეტროსადგური „უნივერსიტეტი“ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გახსნა.

84-მილიონნიანი ინვესტიცია აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით განხორციელდა.

პრემიერმა თბილისს და თბილისელებს მიულოცა ახალი მეტროსადგურის ამუშავება, რომლის 20 წელზე მეტხანს შეჩერებული მშენებლობა 2015 წელს განახლდა და მადლობა გადაუხადა ყველა ადამიანს, მათ შორის ინჟინერ-მშენებლებს, ვინც პროექტის წარმატებით დასრულებაში წვლილი შეიტანა.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს მეტროსადგური მთლიანად აღჭურვილია სრულიად თანამედროვე უსაფრთხოების სისტემებით. აქ სრულად არის დაცული უახლესი თანამედროვე სტანდარტები. დღეისათვის თბილისის მეტროთი ყოველდღიურად მგზავრობს 350-400 ათასი ადამიანი. ამ სადგურის ამუშავება, დღეში დამატებით 15 ათასზე მეტ ადამიანს გაუადვილებს დანიშნულების ადგილამდე მისვლას. მოგეხსენებათ, რომ დღემდე, „დელისისა“ და „ვაჟა-ფშაველას“ მეტროსადგურებს შორის მოწყობილი ორი პარალელური გვირაბიდან მხოლოდ ერთი ფუნქციონირებდა. ამიერიდან ეს პრობლემაც გადაჭრილია და ორივე გვირაბი სრული დატვირთვით იმუშავებს. იმედი მაქვს, სადგური „უნივერსიტეტი“ გახდება მაგალითი იმისა, თუ რაგორ არის შესაძლებელი ურბანული ტრანსპორტის განვითარება, რაც დამეთანხმებით, უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი დედაქალაქის მცხოვრებლებისთვის, დედაქალაქის სტუმრებისთვის. თბილისის მერიამ ეს პროგრამა აქტიურად დაიწყო — უკვე მოდერნიზდა და გარემონტდა ჯამში 44 ვაგონი, ასევე განახლდა 3 მეტროსადგური, ხოლო 3 განახლების პროცესშია. თბილისში შემოვიდა 143 ახალი, ევროსტანდარტების შესაბამისი, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსი; თბილისში, 1970-იანი წლების შემდეგ პირველად აშენდა ასევე ევროსტანდარტების შესაბამისი, მუნიციპალური ავტობაზა; ამოქმედდა კუს ტბის საბაგირო გზა“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერმა ასევე ყურადღება გაამახვილა ვაჟა-ფშაველას ძეგლიდან ახალ მეტროსადგურამდე ახლად მოწყობილ ხეივანსა და გამწვანებულ პარკზე და აღნიშნა, რომ ეს არ არის სრული ჩამონათვალი იმ პროექტებისა, რომლებიც თბილისის მერიამ ამ ბოლო წლებში განახორციელა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ხელისუფლებას თბილისთან მიმართებაში გაცილებით უფრო მასშტაბური გეგმები აქვს. პრემიერ-მინისტრი დარწმუნებულია, რომ ეს გეგმები სრულად და წარმატებით განხორციელდება, რაც თბილისს კიდევ უფრო ლამაზს გახდის.

მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ სამშენებლო სამუშაოები შეასრულა მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა, ესპანურმა კომპანიამ „კობრა ასიგნიამ“, რომელსაც მსოფლიოს მასშტაბით არაერთი უმსხვილესი პროექტი აქვს განხორციელებული. მშენებლობაზე 2 000-ზე მეტი ადამიანი იყო დასაქმებული.

პრემიერ-მინისტრმა, მინისტრთა კაბინეტის წევრებთან, დედაქალაქის მთავრობის წარმომადგენლებსა და სტუმრებთან ერთად, ახლად გახსნილი მეტროსადგურიდან გასული პირველი მატარებლით იმგზავრა.

დიმიტრი ქუმსიშვილი და კობა გვენეტაძე კაპიტალის ბაზრის განვითარების საკითხებზე EBRD-ის წარმომადგენლებს შეხვდნენ

კაპიტალის ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მაღალი მენეჯმენტის წარმომადგენლებთან. შეხვედრა აშშ-ში, ქალაქ ვაშინგტონში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წლიური შეხვედრების ფარგლებში გაიმართა.

შეხვედრაზე განხილული იყო კაპიტალის ბაზრის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიიდან გამომდინარე საკითხები. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც ცოტა ხნის წინათ შემუშავდა, რამდენიმე პრიორიტეტული პუნქტის განხორციელებას ითვალისწინებს. მათ შორისაა, საკანონმდებლო და ტექნიკური ბაზის სრულყოფა იმ პერიოდისთვის, როდესაც საქართველოში ამოქმედდება საპენსიო რეფორმა. გარდა ამისა, უკვე მომავალი წლის დასაწყისიდან ძალაში შევა დეპოზიტების დაზღვევის სისტემა.

მხარეებმა განიხილეს საქართველოს კაპიტალის ბაზარი. ყურადღება გამახვილდა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც აუცილებელია აღნიშნული ბაზრის რეფორმირებისთვის.

ქართულმა მხარემ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენლებთან აღნიშნული რეფორმის კუთხით თანამშრომლობაზე ისაუბრა. აღინიშნა, რომ მისი განვითარება უმნიშვნელოვანესია ალტერნატიული ფინანსური წყაროების შესაქმნელად.

„ქართული ოცნებიდან“ საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი გიორგი ტყემალაძე იქნება

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი გიორგი ტყემალაძე იქნება, — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებაშია ნათქვამი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებასთან ერთად, იზრდება საზოგადოების ინტერესი, ვინ იქნება „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი. აღნიშნულ თანამდებობაზე ჩვენმა გუნდმა შეარჩია გიორგი ტყემალაძე.

გიორგი ტყემალაძე არის თავისი საქმის პროფესიონალი და ამავე დროს გამოცდილი პოლიტიკოსი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ამჯერად უკვე თავმჯდომარის რანგში, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს თბილისის საკრებულოს წარმატებულ საქმიანობაში.

მჯერა, 21 ოქტომბრის არჩევნებზე ქართველი ხალხი კვლავ გამოუცხადებს ნდობას „ქართულ ოცნებას“, ჩვენს გუნდს და გააკეთებს არჩევანს ქვეყნის განვითარების სასარგებლოდ“, — ნათქვამია გიორგი კვირიკაშვილის განცხადებაში.

ზუგდიდის მაჟორიტარობის ოთხმა ნაციონალმა კანდიდატმა არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა

„ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის მაჟორიტარობის 4-მა კანდიდატმა საარჩევნო ადმინისტრაციას უკვე მიმართეს და არჩევნებიდან მოხსნა მოითხოვეს. კანდიდატურის მოხსნა გელა თოლორაიას, ლევან მაცაცარიას, გოდერძი კუკავას და გიორგი თოფურიას სურდათ.

ცესკოში განმარტავენ, რომ პროცედურულად გადაწყვეტილება დაგვიანებულია, თუმცა ფაქტს ადასტურებენ. ზუგდიდის 67-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ პოლიტიკოსების სახელები და გვარები საარჩევნო ბიულეტენზე იქნება მითითებული და ხმების მოგროვების შემთხვევაში, არჩეულები იქნებიან.

კახა კალაძე ახალგაზრდობას შეხვდა

თბილისი აუცილებლად უნდა გავხადოთ ქალაქი, სადაც ახალგაზრდები საკუთარ შესაძლებლობებს დაინახავენ, — აღნიშნული განცხადება კახა კალაძემ ახალგაზრდებთან შეხვედრისას გააკეთა.

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის მერობის კანდიდატმა ახალგაზრდებს ვებპლატფორმა გააცნო, რომლის საშუალებით ისინი საკუთარი ხედვების თბილისის მერისთვის წარდგენას და განხილვის შემდეგ მათ განხორციელებას შეძლებენ.

„მინდა, წარმოგიდგინოთ პლატფორმა, რომელზეც მიდის მუშაობა და რომელსაც მალე დავასრულებთ. თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, ამ პლატფორმის საშუალებით წარმოადგინოთ თქვენი კონკრეტული ხედვები და გეგმები ქალაქთან დაკავშირებით. ჩვენ განვიხილავთ ამ პროექტებს და ერთად შევძლებთ მათ განხორციელებას“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერობის კანდიდატის თქმით, ახალგაზრდებს ქალაქის განვითარების განსხვავებული ხედვა აქვთ და ის მზად არის მათთან თანამშრომლობისთვის. თბილისის მერობის კანდიდატმა ვებგვერდის გარდა, ახალგაზრდებს თბილისის განვითარების შვიდი პოლიტიკა გააცნო და იმ პროექტებზე ესაუბრა, რომელთა განხორციელებას მერად არჩევის შემდეგ გეგმავს.

გოჩა კურდღელია: ფოთელობა ისეთივე ბედისწერაა, როგორც ქართველობა...

ინტერვიუ ფოთის მერობის კანდიდატთან გოჩა კურდღელიასთან

გოჩა კურდღელიას კარგად იცნობენ ფოთელები, ის ახალი თაობის ღირსეული წარმომადგენელია, რომელსაც გარდაქმნების პერიოდში მოუწია ცხოვრება, თავისი განსაკუთრებული ნიჭითა და მონდომებით ბევრ რამეს მიაღწია და კარგი მენეჯერისა და ბიზნესმენის თვისებები გამოამჟღავნა. ამასთან, იგი თავისი ქვეყნის, თავისი ქალაქის შვილია, ნამდვილი პატრიოტი და გულშემატკივარია. ამიტომაც გამოუცხადეს ნდობა მმართველი პარტიიდან და გაუხსნეს გზა ახალი ასპარეზისკენ.

თუ რას ფიქრობს ქალაქზე, მის მომავალზე და რას გააკეთებს მერად არჩევის შემთხვევაში, ამის თაობაზე „ოცნების“ კანდიდატი გვესაუბრება.

– ბატონო გოჩა, ქვეყანაში პოლიტიკური დაპირისპირებების ფონზე არცთუ სახარბიელო ვითარებაა, ასეთ დროს რამ გადაგაწყვეტინათ მეტად მძიმე ტვირთის აღება, ბიზნესიდან პოლიტიკაში გადასვლაც არაა იოლი... მერი უფრო პოლიტიკური ფიგურა თუ კარგი მენეჯერი უნდა იყოს, თქვენ როგორ ფიქრობთ?

– მქონდა საშუალება, გავცნობოდი მმართველი გუნდისა და ხელისუფლების გეგმებს ფოთთან მიმართებაში. მათ აქვთ სურვილი, ფოთი საქართველოს ერთ-ერთ წამყვან ქალაქად აციონ. ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიმეღო. ადგილობრივ თვითმმართველობაში პროფესიონალი და ერუდირებული გუნდია წარმოდგენილი. ჩვენ შევეცდებით, არსებული პრობლემები, რაც შეიძლება მოკლე დროში გადავჭრათ. გაგრძელდება დაწყებული პროექტები. ასევე აუცილებლად ვიზრუნებთ ქალაქის იერსახეზე. კონკრეტულად ამის შესახებ ჩვენს პროგრამაშია მითითებული. პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთს უნდა ავსებდეს და შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული. ასე რომ, მერი პოლიტიკოსიც უნდა იყოს და მენეჯერიც.

– მერად არჩევის შემთხვევაში რას გამოყოფდით პრიორიტეტად, სხვათა შორის, ქალაქს არა აქვს განვითარების გენგეგმა და, საერთოდ, ზურგით დგას ზღვისაგან.

– ერთ დროს ქალაქს ჰქონდა ასეთი გეგმა, ხვალაც იგი გეოპოლიტიკურ პრიორიტეტებს და პერსპექტივებს უნდა დაექვემდებაროს. ზღვისკენ შემობრუნება უკვე დაიწყო. მიმდინარეობს მალთაყვის სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის მშენებლობა. 2018 წელს 2 მილიონამდე ლარი დაიხარჯება და ქალაქს 7 კმ-იანი ქვიშის სანაპირო ზოლი და კეთილმოწყობილი პლაჟები ექნება.

– თქვენ ბიზნესმენი ხართ და თქვენგან უპირველესად ამ დარგის ხელშეწყობას მოელიან. მხედველობაში გვაქვს მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესი. დიდ იმედს ვამყარებდით თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაზე. სამუშაოს არარსებობის გამო ადამიანები ტოვებენ ქვეყანას, ქალაქს.

– მცირე ბიზნესის ხელშეწყობისთვის შეიქმნება სპეციალური ფონდი, რომელიც გასცემს დაბალპროცენტიან სესხებს, ასევე გატარდება ღონისძიებები საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად. პრიორიტეტი უნდა იყოს ქალაქის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ვინაიდან ფოთი „აბრეშუმის გზის“ საკვანძო ქალაქი იყო ოდითგან. რაც შეეხება სამუშაო ადგილებს, 2017 წლის ბოლოს ამუშავდება რამდენიმე მსხვილი სამკერვალო ფაბრიკა, კომპანია „აჭარა ტექსტილი“ უკვე 2017 წელს გეგმავს 1500-ზე მეტი ადამიანის დასაქმებას. სრული დატვირთვით ამუშავების შემდეგ დასაქმებულთა რაოდენობა 3000-ს მიაღწევს. მთლიანად რეგიონში „აწარმოე საქართველოში“ და მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის, სახელმწიფო პროგრამების“ ფარგლებში 2018-2021წ. 6 მილიონ ლარამდე თანხა გაიცემა და 900-მდე ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნება, მათ შორის, 300-მდე უშუალოდ ფოთში.

– ქალაქში ტრადიციული დარგების განვითარებაზე, ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე რას იტყოდით?

– განსაკუთრებულ ყურადღებას და მხარდაჭერას მოითხოვს სანაპირო თევზჭერა, შავი ზღვის ქაფშიის რეწვა და გადამმუშავებელი კომპანიების შექმნა ადგილობრივ ფოთელთა მონაწილეობით. ასევე გადასახედია ტორფმოპოვებისა და პალიასტომზე თევზჭერის აღდგენის საკითხები.

– ფოთს ბევრი მარადიული პრობლემა აწუხებს, ზღვა უტევს ქალაქს, რიონის წყალგამყოფი ხიდი ავარიულ მდგომარეობაშია. კანალიზაციისა და სანიაღვრე არხის მშენებლობა გაჭიანურდა. იქნებ არ ამართლებს ასეთი ტენდერები?

– ფოთის წყალარინების (კანალიზაციის) სრული რეაბილიტაცია-მშენებლობაზე 100 მლნ. ლარამდე დაიხარჯება. განხორციელდება განათების სრული რეაბილიტაცია, ელექტროფექტური სანათი მოწყობილებებით (სანათებით). განხორციელდება ქ. ფოთის შესასვლელი ხიდისა და წყალმარეგულირებელი კომპლექსის მშენებლობა-რეკონსტრუქცია, რაზეც დაიხარჯება 50 მლნ. ლარი. განხორციელდება კაპარჭინის, პალიასტომის, შავი ზღვის სანაპიროს გაწმენდითი სამუშაოები. იგეგმება სანაპირო ზოლის გამაგრება. გაფართოვდება მდინარე რიონის ქალაქში შემავალი შტო.განხორციელდება მდინარე რიონის გამანაწილებელი ჰიდროკვანძის სრული რეაბილიტაცია. მიმდინარე წელს ქალაქს გადაეცემა მილიონი ლარის ღირებულების ტალღის მჭრელი კონსტრუქციები. სპეციალური ღონისძიებების შედეგად 3-4 წელიწადში „კუნძულის უბნის“ და „გრეიპფრუტის“ ტერიტორიებზე შეწყდება სანაპიროს გამორეცხვის პროცესი და წარმოიქმნება 20-30 მეტრის სიგანისა და 2 კილომეტრზე მეტი სიგრძის ქვიშის პლაჟი.

– ჯანდაცვის კუთხითაც ბევრი პრობლემაა ქალაქში. მუნიციპალური საავადმყოფო, კლინიკა არა აქვთ ფოთელებს. სოციალური დახმარება მარტოხელებზე, მრავალშვილიანებზე, ახალდაქორწინებულებზე დღემდე მოუგვარებელია.

– საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით 2016 წელს 13, 9 ათასმა ადამიანმა ისარგებლა, რაზეც 3,1 მლნ. ლარზე მეტი დაიხარჯა. 2012 წლის შემდეგ ფოთში საარსებო შემწეობაზე გაწეული ხარჯი 604 ათასიდან 1,5 მლნ. ლარამდე გაიზარდა. საარსებო შემწეობის საშუალო ოდენობა 258-დან 616-ლარამდე ამაღლდა. ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება და მეტი ყურადღება დაეთმობა შეჭირვებულ ადამიანებს და ახალი შეღავათები დაწესდება მრავალშვილიან ოჯახებზე. ვიმსჯელებთ მუნიციპალური საავადმყოფოს თაობაზე.

– დღემდე მოუგვარებელია კულტურის, დასვენების, გართობის საკითხები. ქალაქს არა აქვს ახალგაზრდული კლუბი, ახალგაზრდობის ცენტრი, ხელოვნების მუზეუმი.

– 2014-2017 წლებში კულტურის განვითარების მიზნით 7 მლნ-ზე მეტი დაიხარჯა, თუმცა ეს არ არის საკმარისი. მეტი თანხები გამოიყოფა ახალი კერების ასაშენებლად და ძველის რესტავრაციისთვის. მიმდინარეობს ნიკო ნიკოლაძის კოშკის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც „ქართუ ჯგუფის“ მხარდაჭერით ხორციელდება და საამისოდ 460 ათასი ლარი დაიხარჯება. დაიწყება კულტურისა და დასვენების პარკის რეკონსტრუქცია. განახლდება დასვენებისა და გართობის ინფრასტრუქტურა. აშენდება თანამედროვე სტანდარტების ამფითეატრი საერთაშორისო ფესტივალების ჩასატარებლად.

– ტურიზმის განვითარება ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად არის მიჩნეული.

– ამ საკითხს კომპლექსურად უნდა მივუდგეთ, იგი მოიცავს კულტურისა და დასვენების კერებს, სასტუმროებს, გზებს და ა.შ. ჩვენ კარგი ბაზა გვაქვს, ზღვა, მალთაყვისა და კოლხეთის ეროვნული პარკები უნიკალური პირველყოფილი ბუნებით. ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულია. ესაა ზღვის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა და, რაც მთავარია, აქვე იგეგმება წყალსათხილამურო ინფრასტრუქტურის გაფართოება და სხვა.

– სპორტული ცხოვრების გამოცოცხლების მიზნით რა სიახლეები იგეგმება?

– ფოთელებს განსაკუთრებით აწუხებთ ფეხბურთის სტადიონის მშენებლობის გაჭიანურება, ეს პრობლემა მალე გადაწყდება და ფოთელებს ექნებათ ევროპული ტიპის თანამედროვე ფეხბურთის სტადიონი. ასევე აშენდება ოლიმპიური სტანდარტების საცურაო აუზი და სპორტკომპლექსი სპა-სალონებით და ფიტნეს-დარბაზებით. აშენდება 10 ახალი მინისტადიონი და რეკონსტრუქცია ჩაუტარდება არსებულს. რიონის სანაპიროზე გაშენდება ჩოგბურთის კორტები, პლაჟის ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

– სამწუხაროდ, ბოლო დროს საკრებულო განიცდის პროფესიონალი კადრების ნაკლებობას, აქაც მხარდაჭერა, თანადგომა დაგჭირდებათ, პარტია ბევრია, მაგრამ ქალაქი ერთი! როგორ ფიქრობთ, გამონახავთ საერთო ენას? არადა, დაპირისპირებამ ნგრევის მეტი რა მოგვიტანა?

– საარჩევნო გამოცდილება მართლაც ბევრი დაგვიგროვდა და იმედია, ფოთელები მხარს დაუჭერენ პატრიოტებს, განათლებულ პიროვნებებს, პროფესიონალებს. ჩვენი გუნდი სწორედ ასეთი ახალგაზრდებითაა შევსებული. არიან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მათ შორის იურისტები, მენეჯერები და ა.შ. ქალაქმა ყველა უნდა გაგვაერთიანოს, მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა და მიზანიც ქალაქის კეთილდღეობა და განვითარება უნდა იყოს.

– რას ნიშნავს თქვენთვის ფოთელობა?

– მე ამ ქალაქში დავიბადე – ლეგენდების ქალაქში, ფაზისში, ათასწლეულებს რომ მოითვლის. ერთდროს ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული ცენტრი დღეს ახალი გარდაქმნების მოლოდინშია.

თაობები იცვლებოდნენ, ქალაქი რჩებოდა თავისი სახით, ხასიათით და ტრადიციებით. მოკლედ, ამას ფოთელობა ერქვა და მიმაჩნია, რომ თავად ფოთელობაა საპატიო მოქალაქეობა, რამეთუ იგი ბედისწერაა, როგორც ქართველობა. ამიტომ ყველას ვალად გვადევს ზრუნვა ქალაქზე, როგორც მშობლიურ ალაგზე, საერთო საცხოვრისზე, მიუხედავად ეროვნული, პარტიული, რელიგიური და სოციალური კუთვნილებისა, რამეთუ ჩვენ ბევრი ვართ, ის კი ერთია თავისი სატკივარითა და საწუხარით.

– დაბოლოს, რას ეტყოდით ამომრჩევლებს, შეიცვლება ცხოვრება?

– ჩვენს ქალაქს განვითარების დიდი რესურსი აქვს და მის გამოყენებაზე, აღმავლობაზე ერთად უნდა ვიზრუნოთ. მიუხედავად იმისა, თუ სად, რა პოსტზე მოგვიწევს მუშაობა. ბევრი რამ ხალხის გადასაწყვეტია, რათა რეალურად შეიცვალოს ვითარება, ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის მიანდობს მომავალი 4 წლის განმავლობაში თავის ბედს. თუ მე ამირჩევენ, ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა გავამართლო მათი იმედები და ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით მოვაგვარო ფოთის მტკივნეული და მარადიული პრობლემები.

– გმადლობთ ინტერვიუსთვის, გისურვებთ წარმატებებს!

ზურაბ აბრალავა,
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპონდენტი
ტელ: 568 41 71 58

იმედია, ფოთელები მხარს დაუჭერენ პატრიოტებს, განათლებულ პიროვნებებს, პროფესიონალებს. ჩვენი გუნდი სწორედ ასეთი ახალგაზრდებითაა შევსებული.

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲓᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲛᲬᲔᲝᲑᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

2018 წლის ბიუჯეტი პარლამენტში შეტანილია და განხილვის პროცესიც დაიწყო - საკომიტეტო მოსმენებისას ოპოზიციამ უკვე გამოთქვა საკუთარი შენიშვნები და ძირითადად იმაზე აპელირებენ, რომ მომავალი წლის მთავარ კანონში პრიორიტეტები არის არასწორად დასახული. საპარლამენტო ოპოზიციის ძირითადი უკმაყოფილება იმ ფაქტმაც გამოიწვია, რომ მომავალ წელს მთავრობა პენსიების გაზრდას არ გეგმავს. ოპოზიციის ამ დამოკიდებულების მიუხედავად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი იწონებს ბიუჯეტს და მთლიანობაში, იმ ეკონომიკურ კურსსაც, რომელიც ხელისუფლებამ აირჩია — სსფ ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებასაც ხედავს, თუმცა მთლიანობაში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ერთობ არასახარბიელოა.

რამდენად ობიექტურია ოპოზიცია მომავალი წლის ბიუჯეტის შეფასებისას და რამდენად შეძლებს მთავრობა მისი ეკონომიკური კურსი მოქალაქეების კეთილდღეობაზეც აისახოს, ამ თემაზე ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის (აფბა) თავმჯდომარე ᲨᲝᲗᲐ ᲒᲣᲚᲑᲐᲜᲘ გვესაუბრება.

— როდესაც ოპოზიცია საუბრობს მომავალი წლის ბიუჯეტის არასწორ პრიორიტეტებზე, არგუმენტად მოჰყავს ჯანდაცვის გაზრდილი ხარჯები, რომელიც პენსიებსა და შემწეობებზე არ აისახება. რამდენად ობიექტური პრეტენზიებია მომავალი წლის ბიუჯეტის მიმართ?

— ოპოზიციასთან დაკავშირებით ერთი რამ შემიძლია ვთქვა, მათი მოვალეობაა, აუცილებლად გააკრიტიკონ ნებისმიერი წლის ბიუჯეტი. რაც შეეხება პრიორიტეტებს, მთავრობა ბოლო წლების განმავლობაში პრიორიტეტებს არ ცვლის — ეს არის ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, მეორე რიგის ამოცანაა ინფრასტრუქტურული ხარჯები და ინფრასტრუქტურის სამინისტროსაც ეზრდება დაფინანსება. კიდევ ერთი პრიორიტეტი არის განათლება, რადგან განათლებაში ჩადებული ხარჯები ეს არის მომავლის ინვესტიცია...

პენსიებს რაც შეეხება, შესაძლოა, იყო კიდეც საშუალება, რომ მომხდარიყო თანხების გადათამაშება და თუნდაც მცირე რაოდენობით პენსიის მომატება, მაგრამ მოხდა ისე, რომ ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა, რის გამოც ვერ მოხერხდა პენსიების გაზრდა.

ვერ გეტყვით, კონკრეტულად რა მიზეზი დასახელდა პენსიებთან დაკავშირებით, თუმცა მთლიანობაში 111 მილიონით მეტი თანხის ჩადება ხდება ამ სფეროში — ვერ დავაბრალებთ მთავრობას, რომ არ აღელვებს მოქალაქეების ბედი.

როდესაც სოციალურ ხარჯებს აკრიტიკებენ ხოლმე, რჩება შთაბეჭდილება, რომ თითქოს, სხვა ქვეყანაში ცხოვრობენ — უნდა გავითვალისწინოთ ერთი მნიშვნელოვანი რამ — ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც რეალურად, ძალიან ბევრი ღარიბი ადამიანია. 2016 წლის მონაცემებით 382.950 ოჯახია რეგისტრირებული საარსებო შემწეობის მიმღებად — ეს მოსახლეობის თითქმის მესამედია და ამ რაოდენობის ხალხი ითხოვს სახელმწიფოსგან დახმარებას. ამ ფონზე ცოტა რთულია გააკრიტიკო მთავრობა, გაზრდილი სოციალური ხარჯების გამო.

სახელმწიფო ვალდებულია, რომ თავისი მოქალაქე უზრუნველყოს მინიმალური ჯანდაცვით — საავადმყოფოში რომ არ გარდაიცვალოს უსახსრობის გამო. ამის გარდა, სახელმწიფო ვალდებულია, ის მინიმალური თანხები გაიღოს, რაც ადამიანებს თვიდან თვემდე არსებობაში დაეხმარება.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, სახელმწიფო ასევე ვალდებულია, მოქალაქეები ცხოვრობდნენ მოწესრიგებულ გარემოში და ესეც არის მთავრობის პრიორიტეტი.

და რაც მთავარია, განათლება, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედია — ესეც პრიორიტეტია. მართალია, არა კოლოსალურად, მაგრამ ყოველწლიურად იზრდება ამ სფეროს დაფინანსებაც.

დეტალურად თუ განვიხილავთ, შეიძლება, თითოეული მიმართულებით აღმოვაჩინოთ ხარვეზები, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ პრიორიტეტები არასწორად არის განსაზღვრული.

— კიდევ ერთი სფერო, რომლის მიმართ პრეტენზია გამოთქვა ოპოზიციამ, არის თავდაცვის შემცირებული ხარჯები. თუმცა, როგორც გაირკვა, მოიძებნა ალტერნატიული წყაროები და მთლიანობაში თავდაცვის დაფინანსებაც იზრდება. შეიძლებოდა ამ შემთხვევაში ნატოს სტანდარტის, ანუ მშპ-ს იმ პროცენტის გათვალისწინება, რომელიც დადგენილია?

— დაახლოებით 10 მილიონით არის მთლიანობაში თავდაცვის ხარჯები გაზრდილი. აპელირება იმაზე, რომ ნატოს სტანდარტებით დავგეგმოთ ბიუჯეტი, რეალობას აცდენილია, იმიტომ, რომ ნატოს წევრი სახელმწიფო არ ვართ.

— თუმცა ასეთი რეკომენდაცია იყო...

— ასევე არის რეკომენდაცია, რომ საგარეო ვალი მშპ-ს 65%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ჩვენთან მყარად 45%-ია, მაგრამ ამ მაჩვენებელსაც რომ გადასცდეს, ესეც არ შეიძლება მივიჩნიოთ საგანგაშოდ, იმიტომ, რომ როდესაც საგარეო ვალი იზრდება, გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რამდენად ეფექტურად ხარჯავს ქვეყანა ამ თანხას. თუ ეს ხმარდება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, საიდანაც ადამიანები იღებენ შემოსავალს, ეკონომიკური პროგრამების დაფინანსებას, ამაში ცუდი არაფერია.

რაც შეეხება თავდაცვას, ბევრის თქმა არ შემიძლია, რადგან საგანგაშო მდგომარეობა არ არის და არც ხელფასები უმცირდებათ სამხედრო მოსამსახურეებს, რაც პოლიტიკური შეცდომაც იქნებოდა, სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ.

— ბიუროკრატიული ხარჯების შემცირება იქნებოდა შესაძლებელი, მთავრობას რომ მოენდომებინა?

— შრომის ანაზღაურება 1.393.500 ლარს შეადგენდა 2017 წლის ბიუჯეტის მიხედვით. მომავალ წელს 1.397.524 ლარი იქნება — ძალიან უმნიშვნელო ზრდაა. როდესაც ბიუროკრატიულ აპარატზე ვსაუბრობთ, ამას ისე წარმოაჩენენ ხოლმე, თითქოს სამინისტროებში დასაქმებული ადამიანები ჩვენი მოქალაქეები არ არიან. ისინიც ოჯახებს ინახავენ და მათთვის ყოველწლიურად ხელფასების შემცირება შრომის ეფექტიანობას შეამცირებს.

როდესაც საუბარია პრემიადანამატებზე, ზოგ შემთხვევაში ფიქსირდება ასტრონომიულად მაღალი თანხები და ეს არ არის მისასალმებელი, მაგრამ როდესაც ბიუროკრატიული აპარატის ხარჯების შემცირებაზეა საუბარი, ეს არ უნდა შეეხოს საშუალო რგოლს.

შეიძლება მინისტრების, მოადგილეების, სხვადასხვა აპარატის ხელმძღვანელების დონეზე გადავწყვიტოთ ეს საკითხი და მათი შემოსავლების გადახედვა მოხდეს. თუმცა არ უნდა დავარღვიოთ ის ბალანსი, რომ კვალიფიციურმა კადრებმა, რომელთა გადმობირებაც სახელმწიფოს სურს, კერძო სექტორიდან მიიღონ შრომის და კვალიფიკაციის შესაბამისი ანაზღაურება.

დღეს კერძო სექტორში მაღალია ანაზღაურება, პასუხისმგებლობა — დაბალი. სახელმწიფო სექტორში კი პირიქითაა და კვალიფიციური კადრების დეფიციტის გამო მაღალი პასუხისმგებლობის პოზიციებზე ინიშნებიან დაბალი კვალიფიკაციის მქონე კადრები, რომელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შემდეგ ჩვენზე, მოქალაქეებზე შეიძლება აისახოს.

როდესაც ამ თემებზე მიდის მსჯელობა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ადამიანებმა უნდა განაპირობონ ჩვენი კეთილდღეობა. მათ არ უნდა იფიქრონ ხვრელების ძებნაზე, საიდან მოიძიონ დამატებითი თანხები იმის გამო, რომ ხელფასი არასაკმარისია.

— როდესაც ამ თემაზეა საუბარი, იგულისხმება ნეპოტიზმის პრობლემა და ამის შედეგად საპასუხისმგებლო პოზიციებზე მოხვედრილი არაკვალიფიციური კადრები და ასეთები ყველა სახელმწიფო უწყებაში მოიძებნება...

— ეს ძალიან ცუდია და მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია, კადრების შერჩევა უნდა ხდებოდეს კონკურსის შედეგად და სრულიად გამჭვირვალედ.

— ფინანსთა მინისტრი ამაყობს, რომ საავალუტო ფონდი დადებითად აფასებს როგორც მომავალი წლის ბიუჯეტს, ასევე მთავრობის ეკონომიკურ კურსსაც. შეიძლება ითქვას, ასეთი რამ იშვიათად ხდება ხოლმე — მუდამ გვესმოდა მთავრობის ეკონომიკური კურსის კრიტიკა. დღეს რა შეიცვალა?

— ქვეყნის ვიცე-პრემიერსა და ფინანსთა მინისტრს იმაზე ცოტა მეტად შეიძლება უნდოდეს, რომ ქვეყანაში განვითარება იგრძნობოდეს, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეს, რადგან ეს ადამიანი არის გადაწყვეტილების მიმღები.

რაც შეეხება ეკონომიკურ პოლიტიკას, იმისათვის, რომ მოქალაქეებმა ეს იგრძნონ საკუთარ თავზე, ამას დრო, რამდენიმე წელიწადი სჭირდება და ეს ასე უცებ ვერ მოხდება. რეალურად, ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე ვიმყოფებით — სიღარიბის მაჩვენებელი ჯერ კიდევ ძალზე მაღალია; მართალია, უმუშევრობის დონე ოფიციალურად შემცირებულია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ არაოფიციალურად უმუშევრობა კვლავ ძალიან მაღალია და ის მეთოდი, რითაც უმუშევრობას ითვლიან, არასწორია. მართალია, საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობაშია, მაგრამ რეალობას აცდენილია.

მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მკვეთრად გაკრიტიკება არასწორად მიმაჩნია, რადგან ვხედავთ, რომ ბევრი კარგი პროექტის განხორციელება ხდება, რომელსაც მეტწილად, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები ხელმძღვანელობენ — ისეთი, რიგორიცაა მეწარმეობის განვითარების სააგენტო და ა.შ.

ვხედავთ მთავრობის მცდელობას, ერთი მხრივ, მეწარმეობისთვის სულის ჩადგმის პროცესს შეუწყოს ხელი; მეორე მხრივ, ბიუჯეტის პარამეტრების მიხედვით, ყოველწლიურად იზრდება ჯანდაცვისა და სოციალური ხარჯები, ანუ ოქროს ბალანსის დაჭერას ცდილობს ხელისუფლება, რაც, ვფიქრობ, მისასალმებელია.

— მოგეხსენებათ, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება საკმაოდ ეფექტურია ხოლმე ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებისთვის — იზრდება დასაქმების დონე, უმჯობესდება მოქალაქეების მატერიალური მდგომარეობა და ა.შ. ჩვენს შემთხვევაში არის თუ არა შესაძლებელი პროგნოზირება, რამდენად ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს ამ სფეროში ბიუჯეტიდან ხარჯების გაზრდა?

— 572 მილიონით მეტი დაიხარჯება მომავალ წელს, აქედან — 434 მილიონი საგზაო ინფრასტრუქტურას მოხმარდება — გზები კვლავ დიდი პრობლემაა ჩვენთვის. გარდა ამისა, არსებობს მსხვილი საინვესტიციო პროექტები, რომელიც დაფინანსდება აღებული ვალით — მთლიანობაში 1.288.000 ლარი მოხმარდება ამ პროექტებს.

იმ 4-პუნქტიანი გეგმის შესრულება თუ მოახერხა მთავრობამ, რომლის მიხედვითაც 2020 წლისთვის 10 მილიარდი ლარის დახარჯვა იგეგმება ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ეს მართლაც სერიოზულ გარდატეხას შეიტანს ჩვენს ეკონომიკაში. ეს მშპ-ს ზრდაზეც აისახება, დასაქმებაზეც და სოციალური ფონის შეცვლაზეც. თუმცა დაველოდოთ და ვნახოთ, რამდენად შეძლებს მთავრობა ამ კურსით სვლას და გეგმების განხორციელებას.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ
ᲚᲐᲚᲘ ᲖᲘᲠᲐᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე ვიმყოფებით — სიღარიბის მაჩვენებელი ჯერ კიდევ ძალზე მაღალია; მართალია, უმუშევრობის დონე ოფიციალურად შემცირებულია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ არაოფიციალურად უმუშევრობა კვლავ ძალიან მაღალია და ის მეთოდი, რითაც უმუშევრობას ითვლიან, არასწორია.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ ᲓᲐᲘᲢᲑᲝᲠᲐ

ᲣᲐᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲡ გამო, ქუთაისში პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია დაიტბორა — ძლიერმა წვიმამ ქალაქში მდინარე ოღასკურას კალაპოტიდან გადმოსვლა გამოიწვია, შედეგად დატბორილია ბუხაიძის ქუჩა, ასევე, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე, სადაც პარლამენტი მდებარეობს, ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხებულია.

რატომ შეიკრიბა მეთოთხმეტედ საერთაშორისო მეცნიერული საზოგადოება?

საერთაშორისო სიმპოზიუმი SHS-2017 თბილისში

2017 წლის 25-28 სექტემბერს ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეგიდით მასპინძლობდა რიგით XIV საერთაშორისო სიმპოზიუმს SHS-2017. იმისათვის, რომ მკითხველისათვის გასაგები გახდეს ამ მეცნიერული თავყრილობის მასშტაბი და მნიშვნელობა, რამდენიმე განმარტებას გავაკეთებთ.

SHS აბრევიატურაში იგულისხმება **თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზი (თმს)**, ერთ-ერთი უახლესი, ენერგოეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიური პროცესი სპეციალური თვისებების მქონე მასალების მისაღებად. ჩვენ ვცხოვრობთ მაღალი პოტენციალების, ზემაღალი ტემპერატურების, წნევების, სიჩქარეების ეპოქაში. საოცარი სისწრაფით ვითარდება სრულიად ახალი დარგები: ნახევარგამტარების და ზეგამტარების ფიზიკა, რადიოელექტრონიკა, გამოთვლითი ტექნიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები, ატომგულური ენერგეტიკა, კოსმოსური ტექნიკა და სხვა. თანამედროვე მანქანადანადგარებსა და აპარატებში სამუშაო ტემპერატურის ქვედა ზღვარი აბსოლუტურ ნულს უახლოვდება, ზედა ზღვარი კი მუდმივად ზემოთ მიცოცავს. დღევანდელი ტექნიკური პროგრესი მოითხოვს სრულიად ახალი, სპეციალური ფიზიკურ-ქიმიური და მექანიკური თვისებების მქონე მასალების მიღებას და ამ მიმართულებით სათანადო კვლევების ჩატარებას. მასალათმცოდნეობა, ანუ მეცნიერება მასალების შესახებ, ყველა ცივილიზებული ქვეყნის პრიორიტეტულ მეცნიერულ მიმართულებათა ჩამონათვალის სათავეში მოიხსენიება. მასალათმცოდნეობა ეკოლოგიურ და ბიო-სამედიცინო პრობლემებთან ერთად განსაზღვრავს კაცობრიობის განვითარების კურსს XXI საუკუნეში.

ორიოდ სიტყვით **თმს**-ის შესახებ მოგახსენებთ. რა მაგიური თვისებებით გამოირჩევა ეს პროცესი, რომ ასე მონუსხა მთელი მსოფლიო და აგერ უკვე მეთოთხმეტედ შეკრიბა საერთაშორისო მეცნიერული საზოგადოება? რა მნიშვნელობა გააჩნია **თმს** მეცნიერულ კონცეფციებს თანამედროვე არაორგანული მასალების ინჟინერიაში? საკითხი ეგზოთერმულ პროცესებს, ანუ ისეთ რეაქციებს ეხება, რომლებიც სითბოს გამოყოფით მიმდინარეობენ.

თმს რეაქცია ინიცირდება მორეაგირე ელემენტების ფხვნილების დაწნეხილ ნარევში ლოკალურ სივრცეში გარედან მიწოდებული მცირე თბური იმპულსის შედეგად, მაგალითად, ვოლფრამის ძაფში ელექტროდენის გატარებით. „რეაქციის კერა“ წვის ტალღის სახით გადაადგილდება მთელ ნარევში. მისი გავრცელების სიჩქარე წამში ათი სანტიმეტრის რიგისაა, ხოლო ტემპერატურა 4000°ს აღწევს. სწორედ ამაში მდგომარეობს თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის უპირატესობა: ამ მეთოდით შესაძლებელია ძნელდნობადი ნაერთების სინთეზირება. ტრადიციული მეთოდებით მათი მიღება დაკავშირებულია დიდ ენერგოდანახარჯებთან და საჭიროებს რთული სახურებელი ტექნიკის გამოყენებას, ხოლო ბევრ შემთხვევაში პრინციპულად შეუძლებელია. ამგვარად, **თმს** წარმოადგენს არაორგანული ნაერთებისა და მასალების მიღების არსებული, აღიარებული ტექნოლოგიების ალტერნატიულ გადაწყვეტილებას. იგი კონკურენციას უწევს ტრადიციულ მეტალურგიულ და კერამიკულ ტექნოლოგიებს.

თმს მიმდინარეობს ქიმიური რეაქციის შინაგანი სითბოს ხარჯზე, სათანადოდ არ საჭიროებს გარე მახურებლების გამოყენებას და მარტივი მოწყობილობებით ხორციელდება.

თმს ფართოდ გამოიყენება: ლითონური და არალითონური ფხვნილების, სპეციალური კერამიკული მასალების, ლითონკერამიკული და ე.წ. ფუნქციონალურ-გრადიენტული ნაკეთობების, სპეციალური მრავალფენიანი დანაფარების, მრავალშრიანი რეაქციული ნანოფირებისა და მრავალი მსგავსი უნიკალური მასალის მისაღებად.

თმს ტექნოლოგიები გავრცელებულია მსოფლიოს 51 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. სამრეწველო მასშტაბების თვალსაზრისით ლიდერობენ აშშ, რუსეთი, ჩინეთი და იაპონია. მაგალითად, ჩინეთი აწარმოებს და საერთაშორისო ბაზარზე გააქვს აბრაზიული და ქიმიურად აქტიური რეაგენტების გადასაქაჩი ფოლადის მილები, რომელთა შიგა ზედაპირი დაფარულია მრავალფენიანი კერამიკით. ეს უნიკალური პროდუქტია და ამ მიმართულებით ჯერჯერობით ჩინეთი გვევლინება ერთპიროვნულ ლიდერად.

მრავალშრიანი რეაქციული ნანოფირების სფეროში ლიდერია აშშ. აშშ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ნაციონალური საბჭოსა და აშშ ტექნოლოგიების კომიტეტის ერთობლივი დოკუმენტი აღიარებს, რომ აშშ სარგებლობს მონოპოლიური უფლებით მრავალშრიანი რეაქციული ნანოფირების მისაღებად. ეს მასალები გამოიყენება კომპიუტერულ ტექნოლოგიებში (ჩიპები, საბეჭდი პლატები და სხვ.) და აეროკოსმოსური ტექნიკის სფეროში, მათ შორის რაკეტული საწვავის აალების პროცესში. პერსპექტივაში მუშავდება ავტომობილის უსაფრთხოების ბალიშებში გაზოგენერირებადი შემადგენლობების ანთების სწრაფი და საიმედო ტექნოლოგია.

რუსეთი და იაპონია ლიდერობენ **თმს** ტექნოლოგიით ფხვნილების მიღებაში და აწარმოებენ მრავალფეროვანი ნომენკლატურის სხვადასხვა ბუნების ფხვნილებს (კარბიდები, ბორიდები, ნიტრიდები, ჰიდრიდები, ჟანგეულები, სილიციდები, კომპოზიციური ფხვნილები და სხვ.).



უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ფონზე საქართველოს მიღწევები მეტად მოკრძალებულია, მაგრამ საამაყოა, რომ ჩვენც გაგვაჩნია ჩვენი სეგმენტი — **თმს** პროცესით ჯავშანფილების მიღება და საბედნიეროდ, ამ სფეროში ლიდერებად მოვიხსენიებით.

მნიშვნელოვანია სიმპოზიუმის შემადგენლობა. მასში მონაწილეობა მიიღო აშშ-ის (4), თურქეთის (6), ისრაელის (7), იტალიის (2), იაპონიის (1), ინდოეთის (1), პოლონეთის (2), რუსეთის (31), საფრანგეთის (2), საბერძნეთის (1), სომხეთის (5), სამხრეთ კორეის (1), უკრაინის (2), ყაზახეთის (9), სულ 14 ქვეყნის 74 წარმომადგენელმა მსოფლიოს უძლიერესი მეცნიერული ცენტრებიდან და ქართველმა მეცნიერებმა. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდა ისრაელის ჰაიფას ტექნოლოგიური უნივერსიტეტის (ტექნიონი) და აშშ აიოვას უნივერსიტეტის პროფესორი, ნობელის პრემიის ლაურეატი დენ შეხტმანი. მოკლედ განვმარტავთ შეხტმანის მეცნიერული აღმოჩენის არსს და მის მნიშვნელობას მასალათმცოდნეობის სფეროში.

თუ ჩვენ ირგვლივ არსებულ არაორგანულ სამყაროს სტრუქტურული თვალსაზრისით დაუკვირდებით, ადვილად აღმოვაჩენთ, რომ მატერია ბუნებაში ძირითადად გვხვდება ან კრისტალური, მოწესრიგებული, რეგულარული გისოსის სახით (მრავალფეროვანი მინერალები, ლითონები, შენადნობები და სხვ), რომელსაც ახასიათებს მესერის სრული პერიოდულობა ან მოუწესრიგებელი, არარეგულარული სუბსტანციის სახით (სითხეები, ამორფული ნივთიერებები, მარცვლოვანი მასალები და ა.შ.).

შეხტმანმა აღმოაჩინა ე.წ. კვაზიპერიოდული კრისტალები, რამაც გადატრიალება მოახდინა ჩვენს წარმოდგენებში მყარი ტანის კრისტალური აღნაგობის შესახებ და სრულიად უნიკალური თვისებების მქონე ლითონური ნაერთების მიღების პერსპექტივა გაუჩინა მასალათმცოდნეებს. ამ საკითხს ეხებოდა პროფ. შეხტმანის ვრცელი გამოსვლა.

გამოვყოფდით ტოკიოს უნივერსიტეტის პროფ. ო. ოდავარას მოხსენებას, სადაც **თმს** თვალსაზრისით განიხილება ბიოსფეროს პრობლემები და მათ შორის დედამიწის მაგმაში მიმდინარე პროცესები. **თმს** მეტად საინტერესო ასპექტები გააშუქეს ფრანგმა, რუსმა, პოლონელმა, ებრაელმა და ქართველმა სპეციალისტებმა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საქართველოში **თმს** კვლევების ლიდერის, აკად. გ. თავაძის მოხსენებამ, რომელშიც ანალიზი გაუკეთდა **თმს** განვითარების ეტაპებს და დაისახა მისი ორი ახალი პერსპექტული მიმართულება: **თმს** და ელექტროგლინვის კომბინაცია და ელექტრორეზონანსული დასხივების გამოყენება სინთეზის პროცესში.

სიმპოზიუმის მასალები შეკრებილია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულ კრებულში, გავრცელებულია კომპაქტ-დისკების სახით და განთავსებულია ინსტიტუტის ვებ გვერდზე www.mmi.ge

გადაწყვეტილება სიმპოზიუმის თბილისში ჩატარების შესახებ მიღებულ იქნა **თმს** საერთაშორისო კომიტეტის მიერ 2015 წლის 20-25 ოქტომბერს, XIII საერთაშორისო სიმპოზიუმის — **თმს-2015** მიმდინარეობის დროს ანტალიაში (თურქეთი). რამ განაპირობა ასეთი დადგენილების მიღება?

ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში გასული საუკუნის 80 წლებიდან ფართო ფრონტით დაიწყო გამოკვლევები **თმს** სფეროში. სინთეზირებულ იქნა სრულიად ახალი შენადნობები, ლითონური და კერამიკული ზეგამტარი მასალები, ბორის კარბიდი, ბორის ნიტრიდი, სილიციუმის კარბიდი, სალი შენადნობები ტიტანის კარბიდების, ტიტანის ბორიდებისა და ქრომის კარბიდების ფუძეზე და სხვა. ამ მიმართულებით მიღებული შედეგები 1998 წელს აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო პრემიით (გ. თავაძე თანაავტორებთან), 2010 წელს საქართველოს ეროვნული პრემიით (გ. ონიაშვილი თანაავტორებთან) და 2013 წელს გიორგი ნიკოლაძის პრემიით (ავტორთა ჯგუფი). განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ მიღებული ახალი თაობის საჯავშნე კომპოზიციური მასალები, რომლებიც ფუნქციონალური მახასიათებლებით უტოლდება და ხშირად აღემატება საზღვარგარეთულ ანალოგებს. ინსტიტუტში მიღებული კომპოზიციური კერამიკული ელემენტებისაგან დამზადებულმა ჯავშანბლოკებმა წარმატებით გაიარა ტესტირება გერმანიაში, საფრანგეთში, ისრაელსა და აშშ-ში და საერთაშორისო აღიარება მოუტანა მათ ავტორებს.

საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია 2011 წელს გ. თავაძისა და მისი ამერიკელი კოლეგის ა. შტეინბერგის მიერ გამოცემულმა მონოგრაფიამ (Получение специальных материалов методами самораспространяющегося высокотемпературного синтеза. Тбилиси, Издательство „Меридиани“, 2011) რომლის გადამუშავებული ვარიანტი 2013 წელს ინგლისურად დასტამბა ცნობილმა გამომცემლობამ „Springer“-მა, ხოლო 2016 წელს ჩინურ ენაზე გამოიცა ჩინეთის გონჯუანის პროვინციაში. ყოველივე ამის გამოა, რომ **თმს** სფეროში მოღვაწე ქართველი მეცნიერები მსოფლიოს ლიდერთა შორის მოიხსენებიან და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ.

დაბოლოს, გვინდა განსაკუთრებით აღვნიშნოთ შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ (ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანა) როლი აღნიშნული სამეცნიერო ფორუმის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის ხელშეწყობაში.

აკადემიკოსი
ირაკლი ჟორდანია,
აკადემიის აკადემიკოს-მდივანი

ყოფილი პატიმრები უფასო იურიდიული მომსახურებით ისარგებლებენ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრსა“ და სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურს“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, შეთანხმების საფუძველზე „ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში“ ჩართული ყოფილი პატიმრები უფასო იურიდიული მომსახურებით მთელი ქვეყნის მასშტაბით ისარგებლებენ. დოკუმენტს ხელი მოაწერეს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ დირექტორმა თათია ხოჭოლავამ და სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ დირექტორმა მელიტონ ბენიძემ.

მემორანდუმის თანახმად, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ ბენეფიციარებს უფასო სამართლებრივი დახმარების შესახებ ინფორმაციას მიაწვდის და იურიდიული დახმარების სამსახურში გადაამისამართებს. თავის მხრივ, იურიდიული დახმარების სამსახური ყოფილ პატიმრებს უფასო კონსულტაციასა და უფასო იურიდიულ დახმარებას გაუწევს. მხარეები ადასტურებენ დანაშაულის პრევენციის პრიორიტეტულობას და საჯარო დაწესებულებების ჩართულობის მნიშვნელობას ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესის სრულყოფილად წარმართვაში.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲞᲚᲝᲠᲪᲕᲚᲘᲔᲑᲘ



ᲗᲘᲜᲔᲑᲘ

სიმწიფეში შესულიყვნენ
სივრცე მკვახე, დრო ნედლი,
და პრინცესა ოდრი ჰეპბერნს
ჩუმად კოცნის ჯო ბრედლი.

თითქოს ერთმა მცა ნაკლები,
სხვამ პატივი მცა მეტი,
ათს გადავცდი:
თერთმეტი და
თორმეტი და
ცამეტი.

თითქოს მავანთ თქვეს ნაკლები
თითქოს მავანთ თქვეს მეტი.
თინებია
თოთხმეტი და
თხუთმეტი და
თექვსმეტი.

ჯერ თავიდან თითქოს ცოტა,
მერე დამაცხრა მეტი —
კვლავ თინები
ჩვიდმეტი და
თვრამეტი და
ცხრამეტი.

1972

ვერც გავიგე, ეს თინები როგორ უცებ
გაოცდა!
თვრამეტიც და ცხრამეტიც და თვითონ
ოციც გაოცდა!

ჩემი ნავი გემად იქცა და იმ სრუტეს
გამოცდა,
გემის გამოც, გემოს გამოც, თუნდაც გამის
გამოც და...
აღარ მინდა, აღარ მინდა მე ასაკის გამო ცდა.
როგორ უნდა ჩავაბარო ეს ამდენი გამოცდა!

დროა, გამოვსივრცედროვდე — ჩემი წლები გაოცდა!
მეც გავოცდი, შენც გაოცდი, თვითონ ოციც გაოცდა!

1982

ოცდაათი წელია, აღარაფერს არ ცვლი,
უფერული დღეების კრიალოსანს მარცვლი.

ვერ დაატყობს ვერაფერს კედელს შეყრა ცერცვის,
ვერ განაწყობს საომრად ვერც შენა და
ვერც ვის!

ლომის ფაფარს არა და, ლომის პარიკს ვარცხნი,
მარჯვნივ წასვლა რო გინდა, ნაბიჯს
ადგამ მარცხნივ,

შენს გაგლეჯას ლამობენ, წრეში დგახარ ცარცის,
არ გპირდება არაფერს არც ესა და არც ის!

მერამდენე წელია, ცვლი და მაინც ვერ ცვლი!
ლაყუჩები აგეხა, გაგიმაგრდა ქერცლი.

კარგად იცი, რაც არის ქიცმაცურიც, ქიციც,
თუმცა ბოლო გაკვირვებს, სიტყვაც
გწამს და ფიციც!

ქორს წიწილი მიაქვს და წილი მიაქვს არწივს,
წყალს არავინ არ გასხამს არც ცხელსა
და არც ცივს.

გაფაციცებული ხარ, კვრაღა დარჩა კინწის,
დროს ვერ დაიმორჩილებ, იქნებ სცადო სივრცის...

გაეცლები ყველაფერს, დადგა ჟამი გაცლის,
დრო არაფერს არ გაცლის, ფეხქვეშ მიწას გაცლის.

დაე, დარჩეთ იუდებს, ოცდაათი ვერცხლი!
შენ მოიყვან გაზაფხულს ერთადერთი მერცხლით.

სად მართალნი ვიდოდნენ, იმ ბილიკზე
შენც ვლი,
წარსულს ვერა — მომავალს, როგორც
გინდა, შეცვლი!

1992

ესეც ჩემი ორმოცი,
ჩემი პანაშვიდი,
გავლილია ცხოვრება
შმაგი, არა მშვიდი...
დაბერილი აფრები
მოზიდული მშვილდი,
შვინდისფერი ჭერამი,
ჭერმისფერი შვინდი...
შვიდი წევრი სუფრასთან
შვიდი, შვიდი, შვიდი!

2002

როგორ წამომეპარა ჩემი ორმოცდაათი!

დღეებს უამინდოებს ღამესავით გაათევ...
სცილასა და ქარიბდას შორის ფრთას ვერ გაატევ.
ხურჯინსა და ზურგჩანთას უგზო-უკვლოდ
დაათრევ,
ადრე სხვები გათრობდნენ, ახლა თვითონ
დაათვრე,
ადრე სხვები გართობდნენ, ახლა თვითონ
გაართე,
ძაფს დაართავს მოირა, შენ ნერვები დაართე.

ორი ორმოს დასატევს ერთ ორმოში დაატევ,
მთელი ათი წელია, თათს ილოკავს დაათვი.

როგორ წამომეპარა ჩემი ორმოცდაათი!

2012

სამოცი წელი, როგორც საპრიზო ან
საჯარიმო სამოცი ქულა,
ერთ მხარეს წიგნი სიბრძნე-სიცრუის, მეორე
მხარეს — სამოციქულო.
ერთი ნინი და ერთი თეონა, ორი კრავაი,
სამი ცოქალი...
სამოცი წელი, ვით მოგებული ან წაგებული
სამოცი ქულა!

სიმღერა — საიუბილეო საჩუქრად!

16 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, გამოჩენილ ჟურნალისტს, გამოჩენილ მწერალსა და პოეტს, გამოჩენილ მეცნიერსა და პედაგოგს, ქართული სპორტის გამოჩენილ მოამაგეს, გამოჩენილ მოგზაურს და, უბრალოდ, თანამედროვე ქართველი საზოგადოების გამოჩენილ და ღირსეულ წევრს, ბატონ **პაატა ნაცვლიშვილს** დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა.

ვშიშობ, რამე ხომ არ გამომრჩა პაატა ნაცვლიშვილის ასე მდიდარი, ნაყოფიერი და წარმატებებით აღსავსე შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან. გადახედეთ მის მიერ დღემდე განვლილ გზას და თითოეულმა თქვენი თვალთახედვით შეავსეთ და დააზუსტეთ მისი მრავალმხრივი საქმიანობისა და მოღვაწეობის ეს ჩემეული ჩამონათვალი.

ჩემი ქვეყანა კარგა ხანია, გადაეჩვია თავისი საამაყო შვილების მხარდაჭერას, წახალისებას, საიუბილეო თარიღების მილოცვასა და ფართოდ აღნიშვნას. არადა, მათი ცხოვრება, შემოქმედება და ღვაწლი ხომ წარუშლელ კვალს ტოვებს მომავალი თაობებისათვის... გულსატკენია, ძალიან გულსატკენი!..

ჩემო პაატა, მაქვს პატივი, გულითადად მოგილოცო სახელოვანი იუბილე, მივულოცო შენი დაბადების დღე შენს ლამაზ ცოლ-შვილს, შენს ძმას, სანათესავოს, შენს უამრავ კეთილისმსურველს, მეგობარსა და ახლობელს. მეც მიგულე საუკეთესო სურვილებით შენს მეგობართა შორის.

მე კომპოზიტორი ვარ. რა შემიძლია გაჩუქო და გისახსოვრო ამ შესანიშნავ დღეს? რასაკვირველია, სიმღერა! — ჩემი ახალი სიმღერა ჯერ კიდევ ათეულ წლების წინათ გახმაურებულ და დღემდე პოპულარულ შენს „წერილზე“. ამ მოლოცვას გულწრფელად უერთდებიან არაჩვეულებრივი ბიჭები „თეატრალურის კვარტეტიდან“.

ეს ჩემი და შენი მეორე ერთობლივი ნამუშევარია! მანამდე აკი სწორედ ჩვენი შემოქმედებითი თანამშრომლობით შეიქმნა სიმღერა „სიყვარული გზად და ხიდად“ — მსოფლიოში პირველი სიმღერა შოთა რუსთაველის ტექსტზე! მჯერა, რომ ჩვენი შემდგომი ახალი ჩანაფიქრიც გაახარებს მსმენელს — მუსიკალური სპექტაკლი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით მართლა უნიკალური პროექტია!

იმედი მაქვს, კალენდარული ასაკი ვერაფერს დააკლებს შენს ამოუწურავ ენერგიას და შემართებას!

სულ წარმატებული გვეყოლე! გული არაფერზე იტკინო, ასეთი ცხოვრებაა დღეს!

მეამაყები!
ᲯᲔᲛᲐᲚ ᲡᲔᲤᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

წამების პანორამა

იყო დრო, როცა მწერლები მართავდნენ ფესტივალებს, კონფერენციებს, ერთმანეთს ხვდებოდნენ სხვადასხვა ერის შვილები და ერთად სჯიდნენ დროის სატკივარს. მათ სიტყვას ყურს უგდებდა მკითხველი, ყურს უგდებდა ხელისუფალი. განმარტოებული ექსპერიმენტატორიც იწვევდა მასის ინტერესს. მაგრამ დღეს სხვა სიტუაციაა – დრომ მოიტანა სხვა პრობლემები და არც მასას, არც ელიტას აღარ აღელვებს მხატვრული სიტყვა. თითქოს ადამიანმა დაკარგა ოცნების უნარი და მხოლოდ ის აინტერესებს, რაც გამოადგება, რაც თვალით ხილულია და ხელშესახები. მწერალი მაინც ფხიზლობს, როგორც გუშაგი ბნელ ღამეში და ახალ განთიადს ელოდება.

* * *

„წამება“ – ასე ჰქვია რევაზ მიშველაძის ახალ, რიგით მესამე რომანს, რომელიც აგრძელებს მწერლის ადრეევე გამოკვეთილ და მრავალ თხზულებაში გაშლილ მოქალაქეობრივ და საზოგადოებრივ პოზიციას. მაგრამ ამჯერად ავტორმა არაერთი სიახლეც შემოგვთავაზა – ეს ეხება რომანის არქიტექტონიკას, პერსონაჟთა სტრუქტურას, ფაქტის გააზრებას, დროის ლოკალს.

ამ წიგნშიც რევაზ მიშველაძე მიმართავს ნოველისტურ კომპოზიციას, რაც კარგად არის ცნობილი ჩვენს მწერლობაში (მაგ., მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, ჭ. ამირეჯიბი). ეს მისთვის სავსებით ბუნებრივიც არის, ბუნებრივია იმ ავტორისათვის, რომელმაც მრავალი წელი შეალია ნოველის მკაცრად შეზღუდული ჩარჩოს ახლებურ მოდელირებას, მცირე და მწირი ფაქტების წარმოსახვით გავრცობას, სინამდვილის დეტალიზებას, დეტალებით პანორამის ხატვას.

ამ ახალი წიგნის ორიგინალობა გამოიხატა რომანის პროლოგითა (მწერლის ტერმინით – თავი) და ეპილოგითაც (ბოლო), ნოველების დაწყება-დასრულებით:

უნივერსიტეტიდან გაძევებული, ღვაწლმოსილი პროფესორი, ისტორიკოსი ლევან კაკაბაძე მიდის გარდაბნის ერთ-ერთ ქვაბსაყდარში, იქ დაყუდებულ მორჩილთან, რომელსაც დაუტოვებს თავისი ლექციების წიგნს. არსებითად ეს არის ქართველი ერის წამების მატიანის ეპიზოდები, ნოველის ფორმით ილუსტრირებული.

შესანიშნავია წიგნის პირველივე სტრიქონები, რომლებიც გვიქმნიან შესაბამის განწყობილებას და რჩებიან მეხსიერებაში:

„გარდაბნის თაგვისფერი უდაბნო მთვარის ზედაპირს ჰგავდა. მთვარის ზედაპირივით უსიცოცხლოს და უამრავი ფიალის ანაბეჭდებივით დაღრმულებულს დევთა საფლავებად აჩნდა ქვიშის ბორცვები.

არავინ იცის, მითაჟამის სიძველე შემოხმობოდა გარდაბნის ტანს თუ მილიონი წლის წინათ ოკეანეს გადაეძოვა ეს ეულად შთენილი შემოგარენი“.

პროფესორი მორჩილს ეუბნება თავის გულისტკივილს, თუ როგორ უსამართლოდ მოექცნენ და როგორ დაატოვებინეს უნივერსიტეტი. მაგრამ არ უმხელს თუ თავად რას აპირებს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს.

ლევანი რომ წავა, მორჩილი იწყებს წიგნის კითხვას. მას აზრადაც არ მოსვლია, რომ პროფესორს თავის მოკვლა განეზრახა. მოხუცი თბილისის ზღვას მიაშურებს, რათა ასე დაუსვას წერტილი თავის გაწამებულ ცხოვრებას. მაგრამ მაშველები გადაარჩენენ. პროფესორი მაინც განდგომას არჩევს ამ ცხოვრებისაგან და შიომღვიმის მონასტერში ბერად შედგება.

მწერალი მისტიფიცირების ხერხით თავის ცნობილ ნოველებს მიაწერს ლევან კაკაბაძეს, რომელმაც, როგორც ისტორიკოსმა, ქართლის ცხოვრების თემატიკით შეაკავშირა ისინი.

რომანს პროფესორისა და მორჩილის გარდა სხვა გამაერთიანებელი პერსონაჟები არა ჰყავს. სხვები წუთიერად ჩნდებიან რომელიმე ეპიზოდში და შემდეგ ქრებიან. ასე რომ, აქ მთავარია არა ტრადიციული სიუჟეტის განვითარება, არამედ – კონცეფციის პერსონაჟებად დანაწილება. ამიტომ სათანადო ყურადღება ექცევა მონტაჟის ტექნიკას, რათა ნოველისტური ეპიზოდების სიმრავლე ერთიან თხრობად წარმოგვიდგინოს.

ტრაგედიის მსგავსად პროფესორის რემარკები აგებს ქართველთა წამების მატიანეს, რაც მწერალმა გაჰყო სამ პრობლემურ ნაწილად – „არჩევანი“, „ბეღურა გემის ანძაზე“ და „შიში?!“

პირველი ორი თუ ისტორიას გვაცნობს, მესამე მომავლის ხილვაა, თუ როგორი იქნება ქართველთა მოდგმა, 100-300 წელი რომ გაივლის, ტერიტორიები დაუბრუნდება, განმტკიცდება თუ ისევ მოუწევს ბრძოლა გადასარჩენად, თუ ისევ არჩევანის წინაშე იქნება – მესამე მსოფლიო ომის შემდეგ.

რომანის ძირითადი პერსონაჟი ლევან კაკაბაძე ისტორიული პროცესების მჭვრეტელია. როგორც ფაქტოლოგი და როგორც მოაზროვნე, იგი ეძებს ქართველის ბუნებაში როგორც სიკეთის, ისე ბედოვლათობისა და უნიათობის როგორც სიმამაცის, ისე სიმხდალის გამომწვევ მიზეზებს. მაგრამ თავად არ არის მოქმედი, ინიციატორი, ლიდერი ან ლიდერობის მოსურნე.

იგი ფაქტების მიღმა იკვლევს მის უჩინარ, მეორე მხარეს, რაც ხშირად ცნობილს ახლებურად დაგვანახვებს. მაგ., სენაკი იმდენად სწრაფად გადადის ხელიდან ხელში, რომ დაბნეული ხალხი აღარავის ემხრობა და იძახის – „ვინც მოვიდა, გაუმარჯოს“; ოტობაიელი ლტოლვილი სოხუმში თავის სახლს მოინახულებს, რომელშიც აფხაზი ცხოვრობს. ამ აფხაზს კი ისევ ძველი მეპატრონის სურათი უკიდია კედელზე; რუსის საოკუპაციო ჯარის გასვლას ყველა მოითხოვს, მაგრამ როცა ხელმოწერაზე მიდგება საქმე, თავს იკავებენ. არგუმენტებიც იმდენად საინტერესოა, რომ ზოგჯერ ყურადსაღებიც კი არის; სასირეთის პრეფექტის უმწეო მდგომარეობა ისეა დახატული, აშკარად ვხედავთ, რომ ქვეყანა დაშლილა; ზოგან ტრაგედიას ერთვის კომიკური სიტუაცია (მაგ., ძმები დემეტრაძეების ისტორიაში); საწყობში დავანებული მარქსიზმის ოდესღაც მრისხანე ბელადების ბიუსტებსა და პორტრეტებს ჰყრიან საბარგო ავტომანქანაზე და სადღაც მიაქვთ, ჩუკოტკაზე თუ ჩუქჩები შვეულმფრენზე ლამის ლოცულობენ, ქართველები ერთ ღამეში ისე გაძარცვავენ ექიმის მანქანას, მხოლოდ ჩონჩხიღა დარჩება.

ამდენად – რევაზ მიშველაძის ახალ რომანშიც მთავარი თემა არის ქართლის ჭირი და ბედი ქართლისა. მართალია, ლევ ტოლსტოი აღნიშნავდა, რომ პატრიოტიკა არ შეიძლება ლიტერატურის საგანი იყოს (თუმცა თავად „ომი და მშვიდობა“ დაწერა), მაგრამ ეს არის დიდი, გამარჯვებული ერის პოზიცია. სხვა არის მცირე, დამცრობილი, ტერიტორია და თავისუფლებადაკარგული ქვეყნის მდგომარეობა, რომელიც მუდმივად იბრძვის გადარჩენისათვის.

ამიტომ მის ბრძოლას მართლაც განუყრელად ახლავს არჩევანი, განსაცდელი და შიში, რაც იპყრობს და იმორჩილებს ადამიანთა ცნობიერებას, ცვლის ხასიათს, ინტერესებს, ბოროტისა და კეთილის გაგებას (მაგ., როგორ ტოვებენ გამარჯვებული ქართველი მეომრები პოზიციებს)..

ადამიანის ბუნების ცვალებადობას, ღირსებასა და ვერაგობას ზოგი სოციალური სფეროდან აშუქებს, ზოგს ინტელექტუალური ჭვრეტა იტაცებს, ზოგიც ცხოვრებისეულ დრამატიზმს არჩევს.

ეს ავტორის ხედვის პრინციპია.

რევაზ მიშველაძის ამოსავალი ეროვნული პრობლემატიკაა, მისი ნაირგვარი წარმოდგენა სხვადასხვა ეპოქებში, სხვადასხვა დროის ადამიანების მიერ ნათელი, სადა, ხატოვანი ენით, მრავალგვარი ხასიათებით, ეფექტური სიუჟეტებით.

ლევან კაკაბაძეს ჩანაწერებისათვის სათაური არ მიუცია. იგი თავის იდეას აცნობს სტუდენტებს და მსჯელობის საილუსტრაციოდ ჰყვება დრამატულ ფაქტებს ჩვენი ისტორიიდან. შესაბამისად ყოველი მათგანის საწყისი დოკუმენტური მასალაა, რომელსაც ჰყავს როგორც ისტორიული პერსონა, ისე გამოგონილი პერსონაჟები.

ზვიად გამსახურდია, რომლის ლექტორიც ყოფილა ლევანი, ამბობდა, ქართველთა გზა ქრისტეს გზაა, გზა ტანჯვისა და ამაღლებისა. ჯერჯერობით კი ქართველებს განგებამ ტანჯვა-წამება-წვალება არგუნა და მათგან თავის დასაღწევად მუდმივად ლავირებდა. აი, წიგნში რუსეთის ელჩობას ღებულობს ლევან II დადიანი, მაგრამ მათი მფარველობისაგან თავს იკავებს; იმერეთის მეფე როსტომიც ასევე თავის იკავებს სვიმონის წინადადებაზე, რომ ქართლი და იმერეთი გაერთიანდეს; სოლომონ I უქიმერიონის ციხიდან გააპარებს მოსისხლე თურქებს, ტოტლებენის ქვემეხებმა ციხე არ დამინგრიონო; პაატა ბატონიშვილი გმობს ერეკლეს რუსულ ორიენტაციას, ანუ ქართველები მუდმივად ეძებენ გადარჩენის გზას, რადგან არ გააჩნიათ ხსნის შინაგანი რესურსი.

ქართველობა დაემგვანა ბეღურას გემის ანძაზე, რომელიც ქარის ყოველ შემობერვაზე მზად უნდა იყოს გასაფრენად. მაგრამ არც მისი ჩამოგდებაა ძნელი.

რომანში ისევ გვხვდება ძველი, მწერლის მიერ გამოგონილი ტოპონიმები – საპრასია, საქვაბია, საიხვე, სასირეთი...

როგორც ვთქვით, წიგნში ნოველების განლაგებას ადგილსა და მიმართულებას აძლევს პროფესორის რემარკა და მსჯელობა, შემდეგ კი მოდის შესაბამისი ნოველა სათაურის გარეშე. ზოგჯერ ერთ მსჯელობას მოჰყვება რამდენიმე ნოველა, რაც, ვფიქრობ ზედმეტია. იქნებს სჯობდეს ერთ იდეას, ერთ საკითხს ახლდეს ერთი ნოველა, როგორც პროფესორის მიერ მოხმობილი საილუსტრაციო მასალა და მწირი ისტორიული ფაქტის ფანტაზიით შევსება, შესაძლებლობის რეალობად წარმოდგენა.

წიგნში გამოყენებულია უამრავი მასალა, რაც თავისთავად საინტერესოა და მნიშვნელოვანი, ბევრი ისეთი საკითხია მხატვრულად გააზრებული, რაც მეტი ფანტაზირების, თავისუფალი ასოცირების საშუალებას იძლეოდა. მაგრამ ავტორი ყოველთვის იცავს ზომიერებას, მსჯელობს და ხატავს დამაჯერებლად. ახალი დღეების დრამატულ ქრონიკას, ღალატსა და ერთგულებას, ყალთაბანდობასა და სიმამაცეს მწერალი მოულოდნელი რაკურსით, მახვილი თვალთახედვით წარმოაჩენს ზუსტად და ობიექტურად – **„აწ და მარადის ღმერთს ებარებოდე შენ, ტანჯულო ზვიად“,** ასეთი დასკვნა მოსდევს ამ პოლიტიკურ ორომტრიალს.

მინდა შევნიშნო, რომ რევაზ მიშველაძე თუ პუბლიცისტიკასა და კრიტიკაში კომპრომისულია, მხატვრულ შემოქმედებაში უაღრესად პრინციპული და მართალია. მისი ხატვა და მსჯელობა, დაკვირვება და დასკვნა მუდამ დამაფიქრებელია და გასაზიარებელი. რომანი „წამება“, მისი ცალკეული ნოველები, პერსონაჟები, მათი მრწამსი და ავტორის პოზიცია ამისი საუკეთესო დასტურია.

რომანს მთავარ ხაზად გასდევს რუსული გზის უარყოფა, რაც პირველად ლევან დადიანის პირით ითქვა: **„რაც შეეხება ფიცის წიგნს, რაკი ხელმწიფეს სამი წელი დასჭირდა ჩემი ელჩის მისაღებად, ჩვენც თავს უფლებას მივცემთ, განვაცხადოთ, რომ ფიცის წიგნზე ხელმოწერისათვის ჯერ მზად არა ვართ. მფარველობის ქვეშ შესვლის პირობები ჯერ კიდევ შესასწავლია“.**

ეს XVII საუკუნის 30-იანი წლებია. საუკუნენახევრის შემდეგ კი პაატა ბატონიშვილს ათქმევინებს მწერალი: **„რუს ხელმწიფეზე უფრო უპიროს, უნდოს, სიტყვის გამტეხს მთელს დუნიაზე ვერ ნახავ“, „ასწლეულები დასჭირდება ჩვენს შთამომავლებს რუსეთის კლანჭებიდან თავის დასახსნელად“. მართლაც – საუკუნენახევარი კიდევ გაივლის და „შიისგან სულგანაბული მოქალაქენი დაშვებული ფარდების მიღმა, დაგმანული სარკმლებიდან შესცქერიან XI ბოლშევიკური არმიის შემოსვლას თბილისში“.**

XX საუკუნეში ტერიტორიების დაკარგვა, უამრავი მსხვერპლი, რეპრესიები, შინააშლილობა და ქაოსი მხოლოდ რუსეთისა და რუსოფილების სახელს უკავშირდება. როგორც ძაღლის კუდი არ გასწორდება, ისე რუსეთის პოლიტიკა არ შეიცვლება საქართველოს მიმართ, რადგან ეს იმპერიული პოლიტიკაა.

როგორია ადამიანთა მასა, რომელმაც ქვეყანა უნდა იხსნას და დაიცვას? მწერალი ნაირგვარი ვარიაციით გვიჩვენებს, რომ მაღალ იდეალებს ერთეულები ეწირებიან. მართალია, მათ მრავალი ატარებს და იზიარებს. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ყველა განრიდებას არჩევს, აქ რამე ხიფათს არ გადავეყაროთ, საქმე არ გავიფუჭოთო.

ერთი პერსონაჟი ქვეყნის გადასარჩენად და არსებული ხელისუფლების დასამხობად მოიგონებს, იატაკქვეშა ორგანიზაცია „ერის ხსნა“ დავაარსოთო. ეს თავად იდეის ავტორსაც არ სჯერა. მაგრამ ამ უწყინარი ხუმრობით თანამოძმეთა პოზიციას ამოწმებს.

თავიდანვე ზოგმა თავი შეიკავა – ერთმა თქვა, ადვილად გამომტეხავენ, საიდუმლოს ვერ შევინახავო, მეორემ – სამ საიდუმლო პარტიაში ვარ და მეტი რა ვქნაო, ქალებმა თავი იმართლეს, სროლა არ ვიცითო. ხუთმა მაინც განაცხადა თანხმობა, თუმცა მალევე ნირი წაუხდათ. ერთმა უცებ მოიბოდიშა, ნოტარიუსი ვარ და ჩემი წევრობა არ შეიძლებაო, მეორემ – ჯანმრთელობა არ მივარგა, ვერაფერში გამოგადგებითო, მესამემ – ახლა წამშალე და შემდეგ ჩემს ორივე ძმას გვერდში ამოგიყენებთო, მეოთხემ – ბელგიაში გადავდივარ, აბა როგორ დაგეხმარებითო...

ასევე მოხდა, როცა ხელმოწერებს აგროვებენ, რათა რუსის საოკუპაციო ჯარი გავიდეს. თავიდან აქაც ყველა გულანთებულია, მაგრამ ენთუზიაზმი სწრაფად ქრება და ყველა შლის თავის ხელმოწერას.

აი, ტიპიური პასუხი: „მე საერთოდ კოლექტიურ განცხადებებს ხელს არ ვაწერ. მე თვითონ ჩემი ანგარიში მაქვს ამ ხელისუფლებასთან. მე მარტოხელა მებრძოლი ვარ. სანამ ამათ არ დავამხობ, არ მოვისვენებ, რაც შეეხება კოლექტიურ ხელმოწერას, ეგ ბავშვური თამაშია და მაგნაირ მასობრივ თავისმოტყუებაში ვერ გავერევი“.

ყალთაბანდების, მედროვეების, ურწმუნოთა, მშიშრების მასაში მხოლოდ ერთეულები ავლენენ თავგანწირვის უნარს, რასაც სიტყვით აფასებენ კიდეც. მაგრამ საქმით თანადგომა არავის უნდა, რადგან ყველას ესმის, რომ ტყვიას „ქართველი ქართველს ჯერჯერობით ზუსტად ახვედრებს“.

ამისი მაგალითია აკაკი ელიავასა და გოჩა ესებუას ეპიზოდები, ზვიად გამსახურდიას მონოლოგი.

საზოგადოება, რომელიც ლიდერს არ სცნობს, რომელსაც თავგანწირვის უნარი არა აქვს, თავისუფლებას ვერ მოიპოვებს და ვერც ქაოსს დააღწევს თავს.

რევაზ მიშველაძის ეს ახალი წიგნიც უამრავ საფიქრალს აღძრავს. მწერალმა დიდი მხატვრული ძალით წარმოსახა ქართული ხასიათი, ნაკლი და ღირსება, ნიჭი და ბედოვლათობა, სიმამაცე და სიმხდალე, რამაც საბოლოოდ გული გაუტეხა მოხუც პროფესორს და ისიც ისე მიიყვანა თვითმკვლელობამდე, როგორც მწერლის პირველი რომანის მთავარი პერსონაჟი გელა კირთაძე.

* * *

კონფორმისტულ საზოგადოებაში აღარც მაღალი იდეალები ფასობს, აღარც მათი მხედრები. გლობალიზაციამ და მასობრივმა კომფორტმა, ტექნიკის უჩვეულო პროგრესმა ადამიანს ჩამოაცილა მორალის, რელიგიის, კულტურის ილუზიური სამოსელი, მიღმა სამყაროს რწმენა და პრაგმატული, ყოველდღიური ინტერესების ამარა დატოვა. მაგრამ მწერალი იდეალისტი და მეოცნებეა, ახალი გზის მაძიებელი, უკეთესი დროის მედაფდაფე, რათა ასე სძლიოს ეჭვსა და შიშს, მტანჯველ რეალობას, რათა ერთეულთა მაგალითებით გადაფაროს მასობრივი უკეთურება, გაუტანლობა და ბედოვლათობა.

სოსო სიგუა

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲚᲔᲚᲘ „ᲑᲘᲜᲐᲓᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲘᲡ“ ᲐᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲩᲥᲐᲠᲝᲑᲡ

ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ **აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება გალის რაიონში ე.წ. ბინადრობის მოწმობების გაცემის პროცესს აგრძელებს. თუმცა რაიონში მცხოვრები ყველა ქართველი მის აღებას როდი ჩქარობს — დოკუმენტი ხომ უამრავ შეზღუდვას ითვალისწინებს.**

სოფელ ნაბაკევის მკვიდრი, რომელმაც ანონიმად დარჩენა ისურვა, ჰყვება, რატომ არ ჩქარობს ყველა გალელი ამ დოკუმენტის აღებას. ეს პროცესი დე ფაქტო ხელისუფლებამ 2017 წლის გაზაფხულიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც 2014 წლამდე გაცემული აფხაზური პასპორტები გაუქმებულად გამოცხადდა, ახლების გაცემა კი მკაცრად იყო შეზღუდული. ქართული პასპორტის მქონე ადგილობრივ ქართველებს დე ფაქტო ხელისუფლება ე.წ. ბინადრობის მოწმობების აღებას სთავაზობს, თუმცა გარკვეული დათქმით.

„ამ დოკუმენტის (ბინადრობის მოწმობის) მფლობელს არც საკუთრების ფლობის უფლება აქვს, არც კერძო ბიზნესის წარმოების; ვერც უძრავ ქონებას გაყიდის. ერთი სიტყვით, მნიშვნელოვანი შეზღუდვებია. თანაც ხმები დადის, რომ დაიწყება დოკუმენტის რაღაც სხვა ფორმის გაცემა, თუმცა ჯერჯერობით ეს არ ჩანს. იმიტომაც ვიკავებთ თავს, რომ ამ პროცესს მასობრივი ხასიათი არა აქვს. ძალიან სერიოზული გაურკვევლობაა“, — ამბობს ნაბაკევის მკვიდრი.

ივნისიდან შეწყდა ასევე ე.წ. ფორმა №9-ის გაცემა, რომლის მეშვეობით ადგილობრივები ადმინისტრაციულ ხაზს კვეთდნენ. გალის ადგილობრივი ადმინისტრაცია გამშვები დოკუმენტის მოქმედებას ორი თვით მხოლოდ მათ უხანგრძლივებს, ვისაც ბინადრობის მოწმობის მისაღებად განაცხადი აქვს წარდგენილი. მათ შორისაა ირმა, სოფელ ოტობაიას მაცხოვრებელი. მისთვის ეს იძულებითი ნაბიჯი იყო, რადგან ხშირად უწევს ზუგდიდში გადასვლა.

„წალენჯიხიდან ვარ, ამდენად, იძულებული გავხდი, წარმედგინა დაბადებისა და ქორწინების მოწმობები. როცა ბინადრობის მოწმობას მივიღებ, ფორმა №9-ს გამიუქმებენ. დაახლოებით 40-ლარიანი (1000-მდე რუბლი) ბაჟი გადავიხადე. პასუხს ორი თვე უნდა ელოდო და ის შეიძლება, დადებითი იყოს, შეიძლება, უარყოფითიც“, — ამბობს ირმა.

ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲙᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲣᲬᲔᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲒᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ 1994-ᲓᲐᲜ 1999 ᲬᲚᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ. ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲞᲐᲡᲐᲠᲢᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲑᲘᲜᲐᲓᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲡ ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲛᲔᲜᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲔᲥᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐᲓ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ.

„ანექსია ყველაზე მწვავე სტადიაში გადადის. გალის მაცხოვრებლებმა იმგვარი დოკუმენტები უნდა მიიღონ, რომელიც დაადასტურებს ან უარყოფს ამ ტერიტორიაზე მათ მუდმივ ცხოვრებას — ეს იზოლაციის ან განდევნის ერთ-ერთი მეთოდია. ამას ემატება გადაადგილებისა და მშობლიურ ენაზე სწავლების შეზღუდვა. ყველა უბედურებას მავნებლის შემოსევის შედეგად მიღებული ზარალიც შეემატა. ერთი სიტყვით, იქმნება ყველა პირობა საიმისოდ, რომ ადამიანი იძულებული გახდეს, საცხოვრებელი ადგილი დატოვოს. მათ, პრაქტიკულად, ეუბნებიან, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან საკუთარ ტერიტორიაზე. და ხალხი იძულებულია, მაინც აიღოს ბინადრობის მოწმობა, რათა დარჩენის რაღაც შესაძლებლობა მაინც გააჩნდეს“, — ამბობს აფხაზეთის დევნილი მთავრობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ᲒᲘᲐ ᲒᲕᲐᲖᲐᲕᲐ**. მისივე შეფასებით, პროცესის შეჩერება შესაძლებელია, თუ საერთაშორისო თანამეგობრობა ამ საკითხში გააქტიურდება.

ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ „ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ“: ᲛᲘᲮᲝ ᲞᲝᲠᲝᲨᲔᲜᲙᲝᲡ ᲓᲐᲛᲮᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲣᲚᲓᲝᲖᲔᲠᲘᲡ ᲠᲝᲚᲡ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ

„ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲗ �გᲐᲛᲓᲘᲓᲠᲓᲐ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲜᲘᲣᲡᲛᲔᲘᲙᲔᲠᲐᲓ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ, ᲣᲙᲕᲔ ᲛᲔᲠᲐᲛᲓᲔᲜᲔᲓ, ᲘᲡᲔᲕ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲐ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲔᲥᲡᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ, ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲔᲥᲡᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲔᲥᲡᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ. ᲐᲠᲐᲐ �გᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲕᲘᲦᲐᲪ-ᲕᲘᲦᲐᲪᲔᲑᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲦᲑᲐᲕᲐᲓ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲡ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ“, — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚ ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲨᲘ (ᲐᲕᲢᲝᲠᲘ — ᲘᲠᲘᲜᲐ ᲮᲐᲚᲢᲣᲠᲘᲜᲐ).

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲜᲘᲣᲡᲞᲠᲔᲡᲘ“ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲔᲜᲝᲕᲐᲜ ᲠᲔᲖᲘᲣᲛᲔᲡ:

საერთოდ, წლების წინათ მიხეილ სააკაშვილის უკრაინაში გამოჩენის მიზეზები დღემდე ბურუსითაა მოცული. რატომ ჩავიდა კიევში ამერიკიდან „მაიდნის რევოლუციის“ შემდეგ, ვინ დაავალა, რატომ მიიღეს ხელგაშლით, მოქალაქეობა მიანიჭეს, თანამდებობაზე დანიშნეს და შემდეგ აითვალწუნეს, გადადგა (თუ გადააყენეს) გუბერნატორობიდან, მოქალაქეობა ჩამოართვეს და როგორ დადიოდა იგი ძალადაკარგული პასპორტით ევროპაში და ბოლოს, როგორ და რატომ დაბრუნდა ისევ უკრაინაში?

დამკვირვებელთა უმეტესობა დარწმუნებულია, რომ უკრაინაში მიხეილ სააკაშვილის „მეორედ მოსვლა“ ქვეყანას ცვლილებებს უმზადებს და არანაირად არ შეიძლება სპონტანურად ჩაითვალოს: **ჯერ ერთი, რომ როცა ადამიანს პასპორტი არა აქვს, გარე ძალების დახმარებით ამერიკიდან პოლონეთში ჩასვლა უბრალოდ შეუძლებელია. ამ შემთხვევაში გასაგებია, რომ მას ამერიკელი პოლიტიკოსები დაეხმარნენ; მეორე — ვისთან ერთად გამოჩნდა ლვოვში მიხეილ სააკაშვილი? იულია ტიმოშენკოსთან, რომელსაც ძალიან სურს პეტრო პოროშენკოს დამხობა, ამ მიზნისთვის კი მიხო ბულდოზერის, ავანგარდის როლს შეასრულებს. თვითონ მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტობა არ უწერია (კონსტიტუცია ამის უფლებას არ აძლევს), იულია ტიმოშენკოს კი სრული შესაძლებლობა აქვს“**, — წერს ავტორი.

პუბლიკაციაში ფართოდაა განხილული უკრაინის პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა, ხელისუფლებაში არსებული ფარული დაპირისპირებები („ჯერჯერობით არავინ იცის, თუ ვის ბანაკში აღმოჩნდება გავლენიანი შინაგან საქმეთა მინისტრი არსენ ავაქოვი, რომელიც ფარულად უპირისპირდება პეტრო პოროშენკოს, საშინლად სძულს მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ ახლო ურთიერთობები აქვს მის „დობილ“ იულია ტიმოშენკოსთან და „ძმობილ“ იგორ კოლომოისკისთან“). სტატიაში მოხსენიებულია აგრეთვე საქართველოს პარლამენტის ექსსპიკერის ნინო ბურჯანაძის მიერ გაჟღერებული ვერსია ამერიკულ „ცეერუ“-სთან მიხეილ სააკაშვილის კავშირების თაობაზე.

„Region Plus“ **(აზერბაიჯანი)**

ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐᲡ ᲨᲢᲝᲠᲛᲘ „ᲝᲤᲔᲚᲘᲐ“ ᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ

ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ ᲨᲢᲝᲠᲛᲘ „ᲝᲤᲔᲚᲘᲐᲡ“ �გᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲡ ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ. ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲨᲢᲝᲠᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲐ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲔᲝᲠᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ ᲒᲝᲚᲣᲔᲘᲡ, ᲛᲔᲘᲝᲡ, ᲙᲝᲠᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲠᲐᲤᲝᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲐ. ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡ ᲜᲐᲠᲘᲜᲯᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲓᲝᲜᲔᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲛᲐᲘᲐᲛᲘᲨᲘ 8 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲒᲔᲛᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲓᲐ

ᲢᲠᲐ�გᲘᲙᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲛᲐᲘᲐᲛᲘᲨᲘ. 8 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲡᲐᲙᲠᲣᲘᲖᲝ ᲚᲐᲘᲜᲔᲠᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲓᲐ. ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲨᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲨᲔᲫᲚᲔᲡ. ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲕᲘᲜᲐᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲮᲛᲐᲣᲠᲓᲔᲑᲐ. ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲐ ᲓᲐᲘ�წᲧᲝ.

ᲠᲣᲡᲗᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ ᲓᲐᲬᲕᲐ

ᲠᲣᲡᲗᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲞᲘᲝᲢᲠ ᲞᲐᲕᲚᲔᲜᲡᲙᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ, ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ ᲓᲐᲬᲕᲐ, ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ Usa Todey ᲬᲔᲠᲡ. ᲞᲘᲝᲢᲠ ᲞᲐᲕᲚᲔᲜᲡᲙᲘᲗᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ ᲐᲚᲛᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲛᲐ ᲙᲐᲞᲣᲩᲘᲜ ᲰᲔᲜᲠᲘᲛ twitter-ᲖᲔ �გᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲓᲐᲬᲕᲘᲡ ᲙᲐᲓᲠᲘ ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲛᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲝ.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲢᲘᲡ ᲡᲐᲠᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲠᲣᲡᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲦᲕᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲘᲖᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ. ᲞᲘᲝᲢᲠ ᲞᲐᲕᲚᲔᲜᲡᲙᲘᲗᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲐᲓ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲔᲕᲜᲐ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲐ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲛᲐ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔ ᲛᲐᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲛᲘᲡᲪᲐ.

„ᲕᲘᲙᲘᲚᲘᲥᲡᲡ“ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ?

ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢ-ᲡᲐᲘᲢ ᲕᲘᲙᲘᲚᲘᲥᲡᲡ ᲰᲘᲚᲐᲠᲘ ᲙᲚᲘᲜᲢᲝᲜᲛᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ ᲣᲬᲝᲓᲐ. ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲛᲐ �კᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲛᲐ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲔᲘᲑᲘ-ᲡᲘᲡ ᲛᲘᲡᲪᲐ.

„ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲕᲘᲙᲘᲚᲘᲥᲡᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲡ ᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲐ. ᲡᲐᲘᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲯᲣᲚᲘᲐᲜ ᲐᲡᲐᲜᲯᲘ ᲙᲘ ᲜᲘᲰᲘᲚᲘᲡᲢᲘ ᲝᲞᲝᲠᲢᲣᲜᲘᲡᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲤᲡᲝᲜᲡ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠ ᲞᲣᲢᲘᲜᲖᲔ ᲓᲔᲑᲡ“, — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲙᲚᲘᲜᲢᲝᲜᲛᲐ.

ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲛᲐ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐᲛ ᲡᲐᲖᲔᲜᲘᲗᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲒᲐᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲐ

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲝᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲗ ᲡᲘᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲔᲜᲘᲗᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲒᲐᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲡ. ᲔᲡ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲡᲘᲠᲘᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲖᲔ ᲘᲔᲠᲘᲨᲘ ᲛᲘᲘᲢᲐᲜᲔᲡ. ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲝᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲐᲡ ᲚᲘᲑᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲘᲠᲘᲣᲚᲛᲐ ᲛᲮᲐᲠᲔᲛ ᲛᲐᲗ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲒᲐᲣᲮᲡᲜᲐ.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡ

ᲔᲒᲖᲘᲢᲞᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲐᲜ ᲙᲣᲠᲪᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲮᲛᲔᲑᲘᲡ 31,5 ᲛᲔᲐᲗᲔᲓᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ. 27, 1 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘ ᲘᲙᲐᲕᲔᲑᲔᲜ, ᲣᲚᲢᲠᲐᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔᲔᲑᲘ ᲙᲘ 25,9 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲖᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ.

ხალხის რჩეულის მანტიას ასეთი ქცევით ვერ მოისხამთ!

საკონსტიტუციო ცვლილებების თვალსაზრისით ჩატარებული საქმიანობის წარმატებით დასრულება, უკვე არაერთხელ მივულოცე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებს იმ იმედით, რომ მომავალში, ქვეყანაში საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ობიექტურად და ელემენტარული ნორმების დაცვით გაიმართება, რაც ქვეყნის გადარჩენის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობათაგანია.

სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით, ჯერჯერობით სასურველი შედეგისგან ძალიან შორს ვართ. ამჯერად, ამ უზარმაზარი პრობლემის მხოლოდ ერთ ასპექტს შევეხები, რომელსაც არჩევნებში გამარჯვების სენით დაავადებულთა მხრიდან, წინასაარჩევნო პერიოდში სააგიტაციო საშუალებების გამოყენების უკანონო, სამარცხვინო, აღვირახსნილ... ქმედებებთან გვაქვს საქმე.

ამ გადასახედიდან, გაუგებარია თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურების ინდიფერენტული დამოკიდებულება მათ მიმართ, ვინც დედაქალაქს ამახინჯებს და თავს უფლებას აძლევს თავიანთი სააგიტაციო პლაკატები მიატყეპონ რუსთაველის ძეგლს, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ისტორიული პარკის ულამაზეს ღობეს, ტექნიკური უნივერსიტეტის კედლებს, ისტორიული შენობა-ნაგებობების ფასადებს, ელექტროგადამცემი ხაზების ბოძებს, საზოგადოებრივ ტრანსპორტს და სხვ.

ამბობენ, გამეორება ცოდნის დედააო და ამიტომ კიდევ მერამდენედ გავიმეორებ: ვიდრე ე.წ. პოლიტიკური პარტიების და მათი „შვილობილი“ ორგანიზაციების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება არ შეწყდება, განსაკუთრებული კონტროლი არ დაწესდება მათი საქმიანობის დაფინანსების წარმომავლობაზე; საარჩევნო სუბიექტებს არ აეკრძალებათ თუნდაც ერთი ლარის დახარჯვა თავიანთი წინასაარჩევნო სააგიტაციო საშუალებების გამოყენებისათვის, ცენტრალური საარჩევნო კომისისის უფლება-მოვალეობანი რადიკალურად არ შეიცვლება ჩვენს მიერ არაერთხელ გამოთქმული მოთხოვნების გათვალისწინებით; ე.წ. პოლიტიკოსებს, ანუ წურბელებს არ მოვსვამთ თავიანთ ადგილებზე, მანამ ჩვენს ქვეყანას არაფერი ეშველება! არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ სწორედ ამ მოთხოვნათა იგნორირების შედეგი გახლავთ ის, რაც ამ რამდენიმე დღის წინათ მოხდა დედაქალაქის მთავარ მოედანზე და რასაც უახლოეს დღეებში, უფრო ფართომასშტაბიანი შოუს სახით გვპირდებიან.

ანზორ ბაბუხადია,
რიგითი ამომრჩეველი

საქართველოში 30-34 წლის ასაკის დედების მიერ გაჩენილი ბავშვების რაოდენობა იზრდება

საქართველოში 2016 წელს 56 569 ბავშვი დაიბადა. საქსტატის ინფორმაციით, აღნიშნული მაჩვენებელი 2 680-ით ნაკლებია 2015 წლის მონაცემებზე.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში დედობის ასაკი გაიზარდა – 2016 წელს, ბოლო 1990-იანი წლების შემდეგ პირველად, დაფიქსირდა ფაქტი, როდესაც 25 წლიდან 29 წლამდე ასაკში უფრო მეტმა ქალმა გააჩინა შვილი, ვიდრე 20-24 წლამდე ასაკში.

მაგალითად, 2009 წელს ამ ასაკში ბავშვი 23 ათასამდე ქალმა გააჩინა, 25-დან 29 ასაკში კი 17 250-მა ქალმა. მომდევნო წლებში პირველ კატეგორიაში მშობიარობის მაჩვენებელი მცირდებოდა და 2015 წელს 17 894 შეადგინა. ამავე წელს 24-29 წლების ასაკში გაჩენილი ბავშვების რაოდენობა 17 712 იყო. 2016 წლის მაჩვენებლებით კი, 20-დან 24 წლამდე ასაკში ბავშვი 15 643-მა ქალმა, ხოლო 24-დან 29 წლამდე ასაკში 17 594-მა ქალმა გააჩინა.

საქსტატის მონაცემებით, ბოლო წლებში ასევე იზრდება 30-34 წლების ასაკის დედების მიერ გაჩენილი ბავშვების რაოდენობა: თუ ეს რიცხვი 2008 წელს 8400-მდე იყო, 2016-ში უკვე 11 700-მდე გაიზარდა. ზრდის ტენდენციაა 35-39 წლამდე ასაკში ნამშობიარებ ქალებს შორისაც: 2008 წელს – 3 487, ხოლო 2016 წელს 5 539; 817-დან 1 386-მდე გაიზარდა ბოლო 8 წელიწადში იმ ქალების რაოდენობა, რომლებმაც შვილი 40-დან 44 წლამდე ასაკში გააჩინეს. სტატისტიკის თანახმად, შარშან 45 წლის ზემოთ ასაკში დედა 208 ქალი გახდა. აღნიშნული მაჩვენებლები არ ასახავს მხოლოდ პირველი შვილის დაბადებას.

თბილისში ბიზნეს-გამოფენა „აფხაზეთი 2017“ გაიმართა

აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებითა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პარტნიორობით ევროპის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ბიზნეს-გამოფენა „აფხაზეთი 2017“ გაიმართა. ღონისძიება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა ნინო ჩიქოვანმა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ გახსნეს.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მიერ დაარსებული კომპანიების პროდუქცია.

გამოფენა ბიზნეს-სექტორების ფართო სპექტრს მოიცავდა. მათ შორის: მეღვინეობა, თაფლის წარმოება, ტურიზმი, კვების ობიექტები, სადისტრიბუციო კომპანიები, სამშენებლო სექტორი, ესთეტიკური მედიცინა, სანიტარიული მომსახურება და სხვ.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი კომპანიები აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრები არიან. კომპანიების პროდუქციისა და საქმიანობის შესახებ სტუმრებს ინფორმაცია აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა ამირან დოლიძემ გააცნო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა კანონით საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შემადგენელი ნაწილია. ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე იურისდიქციის აღდგენამდე პალატის წარმომადგენლობა განთავსებულია დედაქალაქში. ამ დროისთვის აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა ათეულობით კომპანიას აერთიანებს, როგორც მცირე, ასევე საშუალო და მსხვილ ბიზნესსექტორებს.

ოკუპანტის ფესტივალი და „სამი დელეგაცია“ საქართველოდან

სოჭში, სტუდენტ ახალაგაზრდობის საერთაშორისო მე-19 ფესტივალი გაიხსნა. ფესტივალში საქართველოდან ჩასულებიც მონაწილეობდნენ. ე.წ. დელეგაციას რუსეთის ფედერაციის თათრეთის რესპუბლიკის სამოქალაქო ორგანიზაციის რუსეთის ახალგაზრდული კავშირის წარმომადგენელი ნესტან ჩიტაია ხელმძღვანელობს. სავარაუდოდ, საქართველოდან 100-ზე მეტი სტუდენტი და ახალგაზრდაა სოჭში ჩასული. ნესტან ჩიტაია „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე „ქართულ სტენდთან“ გადაღებულ ფოტოსაც აქვეყნებს. ფესტივალში ასევე მონაწილეობენ ე.წ. დელეგაციები ოკუპირებული ცხინვალიდან და აფხაზეთიდან. ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთში დაახლოებით 100-მდე სტუდენტი და ახალგაზრდაა ჩასული. გახსნის ოფიციალურ ცერემონიალზე ფესტივალში მონაწილე ქვეყნების დროშებთან ერთად „საერთო სიმბოლურ“ დროშაში საქართველოს დროშაცაა დატანილი. ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. სახელმწიფო დროშას კი „დელეგაციის“ წევრები ტრიბუნაზე აფრიალებდნენ. ტრიბუნაზე ფრიალებდა საქართველოს სახელმწიფო დროშაც.

სოჭში წასული საქართველოს მოქალაქეების ზუსტი რაოდენობა და ვინაობა ოფიციალურად უცნობია.

◎ საფინანსო პირამიდა

„ფარაონ“ მავროდის მორიგი პირამიდა

რამდენიმე წლის წინათ მთელი რუსეთი ერთიანად თავდაყირა დადგა მას შემდეგ, რაც „უმაღლესი სინჯის“ მაქინატორი სერგეი მავროდის ფინანსური პირამიდა, რომლის მეანაბრე მილიონობით რუსი იყო, ერთბაშად ჩამოიქცა. მაშინ მისმა ნანგრევებმა უამრავი ადამიანის არათუ ალალი შრომით დაგროვილი ბოლო კაპიკები წალეკეს, არამედ ბევრის ჯანმრთელობა და, ზოგ შემთხვევაში, სიცოცხლეც კი შეიწირა! თაღლითობისთვის მაშინ სერგეი მავროდი ციხეში ჩასვეს, მსგავსი აფიორა გრანდიოზულმა ფირმამ „ვლასტელინამაც“ გაითამაშა და ორივე შემთხვევაში, მოტყუებულ მეანაბრეთა ფული როგორც იტყვიან, თაღლითებს „ხახვივით შერჩათ“.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ასეთივე თაღლითური ფინანსური პირამიდის მსხვერპლია ორი ათასზე მეტი ჩვენი თანამოქალაქე, რომლებიც თავიანთი დანაზოგის დაბრუნებას ამაოდ ელოდებიან. ამ სქემის ამგები, ვინმე ფერაძე ამჟამად დაპატიმრებულია.

თუმცა, ვიდრე ფერაძის მსხვერპლთა ბედი გაირკვევა, ისევ სერგეი მავროდის ამბავს მივუბრუნდეთ, რომლის სიუჟეტიც ნებისმიერ ჰოლივუდურ ბლოკბასტერზე უფრო მძაფრია. ეს უდავოდ არასტანდარტული ჭკუის კაცი 2007 წელს პატიმრობიდან გათავისუფლდა, ცოტა ხანი დააკვირდა მოვლენათა განვითარებას და... ისევ ძველ საქმიანობას მიჰყო ხელი, ოღონდ ამჯერად გაცილებით უფრო დიდი მასშტაბით: ამჯერად მან უკვე საერთაშორისო პირამიდის მშენებლობა ინტერნეტში დაიწყო.

ქსელი, სახელწოდებით „MMM. Global RepubliC of Bitcoin“ ვირტუალური ვალუტით – მავროსითა და ბიტკოინით შენატანებზე მეანაბრეებს წლიურ 100 პროცენტ მოგებას პირდებოდა. სისტემის საიტებზე აღნიშნული იყო, რომ ის მსოფლიოს 100 ქვეყანაში მუშაობს და მისი წევრი 130 მილიონი კაცია.

მას შემდეგ, რაც ქსელს პრეტენზიები ჩინეთისა და ინდოეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა წაუყენეს, მავროდიმ ფსონი აფრიკაზე გააკეთა, მაგრამ ზიმბამბვესა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ახალი პირამიდა უკვე დაინგრა, ნიგერიის ცენტრალური ბანკის დირექტორმა ისაამე ოკოროაფორმა კი ის ტყის ხანძარს შეადარა, რომლის შეჩერება შეუძლებელია. ექსპერტების გათვლებით, მავროდის „შემოქმედების“ წყალობით 3 მილიონმა ნიგერიელმა 57 მილიონი დოლარი იზარალა.

მაგრამ ყველაზე გასაოცარი ამბავი ისაა, რომ ახალმა „რუსულმა გოიმოტრონმა“ ნიგერიელები იმდენად გაიტაცა, რომ ხალხი ფულს მავროდის ავანტიურაში კვლავაც აბანდებს! MMM-ის საიტი ნიგერიაში ფეისბუქის პოპულარობით მე-5 ადგილზეა. სოციალური ქსელები სავსეა ნიგერიელების ვიდეორგოლებით, რომლებიც ლამის პირზე დუჟმომდგარი ყვებიან, თუ როგორ აიწყვეს ცხოვრება MMM-ის წყალობით. იმას კი, რომ იქვე პირამიდის ჩამონგრევის შედეგად დაქცეული ადამიანების თვითმკვლელობების ამბებია მოთხრობილი, ყურადღებას არავინ აქცევს.

ცნობილი ამერიკული ჟურნალის „ლაიფის“ მონაცემებით, ნიგერია აფრიკაში გამორჩეული ქვეყანაა ავტოსაგზაო შემთხვევათა ოდენობით, იქვეა კერძო თვითმფრინავების ყველაზე დიდი ბაზარი, თანაც სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლის შემოსავალი ერთმანეთისგან ცა და მიწასავით განსხვავდება: ადგილობრივი პარლამენტის დეპუტატი წელიწადში 540 ათას დოლარს იღებს, ექიმი მხოლოდ 6 ათასს(?!). გარდა ამისა, MMM-ის განვითარებამ ნიგერიაში ახალი იმპულსი მიიღო მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა სამღვდელოებამ მას მხარი დაუჭირა, რომელიც აფრიკის უმდიდრეს მცხოვრებთა რეიტინგის უცვლელი ბინადარია.

მაგრამ, მოწინააღმდეგეები საერთაშორისო თაღლითს მაინც გამოუჩნდნენ: ომი მას ნიგერიელმა ბანკირებმა გამოუცხადეს, რომლებიც არაკეთილსინდისიერმა კონკურენტმა ძალზე გაანაწყენა. „ბანკებში სესხებს აღარავინ იღებს, – ავრცელებს გამოცემა „Quartz Africa“ ადგილობრივი ინვესტორის ოგადინგოზის ნათქვამს. – რატომ უნდა აიღოს ხალხმა სესხი უზარმაზარ პროცენტად, როცა შეიძლება 30 პროცენტად ფული მავროდის მეანაბრეებს მისცენ?“

როგორც ამბობენ, ბანკირები სამართალდამცველებზე ზემოქმედებას ცდილობენ იმ მიზნით, რომ მათ მავროდის „დუქანი“ დახურონ, მაგრამ ყველა მცდელობა ჯერჯერობით უშედეგოა.

ნინო ალექსანდრია

◎ წინ, საქართველოვ!

მესამე აღზევება

ანტალიაში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა 22-ე და ვაჟთა 33-ე ევროპის საკლუბო თასის გათამაშება, რომელშიც შესანიშნავად იასპარეზა მანდილოსნებში ამ ტურნირის ორგზის გამარჯვებულმა (2014-2015 წ.წ.) და შარშანდელმა ვერცხლის პრიზიორმა ბათუმის „ნონამ“ (ნანა ძაგნიძე, ჰარიკა დრონავალი, ნინო ბაციაშვილი, ბელა ხოტენაშვილი, სალომე მელია; დელეგაციის ხელმძღვანელი გიორგი ჭანტურია, კაპიტანი მარიკა ჯაფარიძე, მწვრთნელები — დავით ჯოჯუა და ხვიჩა სუპატაშვილი). ზღვისპირელებმა შვეიცარიული სისტემით შვიდ ტურად გამართულ შეჯიბრებაში 14 შესაძლებლო-

ბიდან 11 გუნდური ქულა მოაგროვეს და მთავარი პრიზი მესამედ დაისაკუთრეს — მათ ხუთი შეხვედრა მოიგეს, ერთი ფრედ დაასრულეს და მხოლოდ აზერბაიჯანის „ოდლარ იურდუსთან“ დამარცხდნენ. ბაქოელებმაც 11 ქულას მოუყარეს თავი, მაგრამ „ნონას“ დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩნენ და ვერცხლის მედალს დასჯერდნენ. 10 გუნდური ქულით მესამე ადგილზე გავიდა „ბოსა ნოვა“ (ბელარუსი), რომელმაც რუსეთის „იუგრას“ (10 ქულა) მხოლოდ კოეფიციენტით გაუსწრო. მეხუთე-მეთორმეტე ადგილები „ლეჯესმა“ (რუსეთი, 8), „სტუდენტეს მედიცინამ“ (რუმინეთი, 8), „ანატოლიამ“ (თურქეთი, 8), „მარმარამ“ (თურქეთი, 6), „ბეერ შევამ“ (ისრაელი, 5), „ფილიდორმა“ (საფრანგეთი, 5), „აეგენმა“ (თურქეთი, 2) და „მედიტერანიანმა“ (თურქეთი, 0 ქულა) გაინაწილეს.

ქართველთა პირადი მონაგარი ასეთია: ნანა ძაგნიძე-5 (7 პარტიიდან), ჰარიკა დრონავალი — 3 (6), ნინო ბაციაშვილი- 4.5 (6), ბელა ხოტენაშვილი — 4 (6), სალომე მელია — 1 (3). პირველ და მესამე დაფებზე ნანა ძაგნიძემ და ნინო ბაციაშვილმა ოქროს მედლები მოიპოვეს, მე-4 დაფაზე კი ბელა ხოტენაშვილს „ბრინჯაო“ ერგო. საგულისხმოა ისიც, რომ ანტალიაში, ევროპის თასის პარალელურად, ფიდეს 88-ე კონგრესიც გაიმართა, რომელმაც ნინო ბაციაშვილს ვაჟებში დიდოსტატის წოდება, ხოლო საჭადრაკო კლუბ „ნონას“ მენეჯერსა და კაპიტან მარიკა ჯაფარიძეს საერთაშორისო არბიტრის უმაღლესი (A) კატეგორია მიანიჭა.

ვაჟთა თასის 33-ე გათამაშებაში პირველ-მეექვსე ადგილებზე „ოდლარ იურდუ“ (აზერბაიჯანი) — 12, „გლობუსი“ (რუსეთი) — 12, „ალკალოიდი“ (მაკედონია) — 11, „მედნი ვსადნიკი“ (რუსეთი) — 10, „ნოვი ბორი“ (ჩეხეთი) — 10 და „ლეიდენი“ (ლუქსემბურგი) — 10 ქულა გავიდნენ.

ლექსო ცინცაძე

ორი ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი — ასეთი ნადავლით დაბრუნდნენ ქართველი ფალავნები ბულგარეთის ქალაქ პლოვდივიდან, რომელმაც ვეტერან მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა. „თავისუფალში“ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მსოფლიოს 2-გზის და ევროპის 5-გზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი ლუკა კურტანიძე ავიდა. 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში მან ფინალამდე სამ მეტოქეს სძლია: ზედიზედ დაამარცხა რუმინელი ადრიან რეკორეანუ (5:1), ამერიკელი ოქტავიუს ბელამი (7:0) და მონღოლი ნარანბაატარ ლხაგვაროჯი (3:0), გადამწყვეტ პაექრობაში კი ირანელ რუსტამ რაჰმატაბადს აჯობა (2:1). ამავე სტილში ბრინჯაოს მედალი ჯემალ კილაძემ (88 კგ) დაისაკუთრა.

ვეტერანები იბრძვიან და იმარჯვებენ

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ვეტერანთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ტარიელ შავაძე (70 კგ). კურტანიძის მსგავსად, მანაც ოთხი მეტოქე დაჯაბნა: ფრანგი ფრედერიკ მიშელ პაული (3:0), ნორვეგიელი ანდრეს ჰამერი (8:0), თურქი ერგუდერ ბეკისდამათი (10:0) და სომეხ არამაის პოღოსიანი (1:0). ანალოგიურ წარმატებამდე მხოლოდ ერთი გამარჯვება დააკლდა ბადრი ანთაძეს (85 კგ), რომელმაც ფინალური პაექრობა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ლაშა დიდია



◎ ძიუდო

სახელოვანი ფალავნის ხსოვნისა

გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სასპორტო სკოლის დარბაზში 2007 წლიდან იმართება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ კობა კურტანიძის მემორიალი. შეჯიბრებაზე ამჯერადაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ახალგაზრდა ძიუდოისტებმა მოიყარეს თავი. გამარჯვებულები და პრიზიორები 8 წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. დაძაბული პაექრობების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ: დავით ეცადაშვილი (50 კგ), მიშა ჩიხლაძე (55), გურამ ძავაშვილი (60, სამივე-გორი), ირაკლი ხერგიანი (66, თბილისი), ალეკო მამიაშვილი (73, გორი), სერგო გოგიშვილი (81, სამტრედია), გურამ გოჩაშვილი (90), ჯიმშერ შაყულაშვილი (100, ორივე-გორი).

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

როჯერი ჯერაც დაფრინავს

როჯერ ფედერერი წლეულს მეოთხედ შეხვდა მსოფლიოს პირველ ჩოგან რაფაელ ნადალს და მეოთხედ მოუგო — ამჯერად შანხაის მასტერსის ფინალში — 6:4, 6:3, თუმცა, მათ ურთიერთდავაში ესპანელი მაინც სოლიდურ უპირატესობას ინარჩუნებს — 23:15.

36 წლის შვეიცარიელისთვის ეს იყო მეორე გამარჯვება ჩინეთში, მეექვსე — სეზონში, 27-ე — მასტერსის სერიის ტურნირებში, 94-ე — კარიერაში დამე-700-ე — ჰარდზე.

ტიტულების რაოდენობით სუკეთესოთა ხუთეული ასეთია: ჯიმი კონორსი (აშშ) — 109, როჯერ ფედერერი (შვეიცარია) და ივან ლენდლი (ჩეხეთი, აშშ) — 94-94, ჯონ მაკინროი (აშშ) — 77, რაფაელ ნადალი (ესპანეთი) — 75.

რაც შეეხება მოგებული მატჩების ნუსხას, შესანიშნავი შვიდეული ასე გამოიყურება: ჯიმი კონორსი — 1256, როჯერ ფედერერი — 1121, ივან ლენდლი — 1068, გილერმო ვილასი (არგენტინა) — 929, ჯონ მაკინროი — 877, რაფაელ ნადალი — 871, ანდრე აგასი (აშშ) — 870.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ეროვნული ლიგა. XXIX ტური

„დინამო“ — „ლოკომოტივი“ 3:1, „ჩიხურა“ — „სამტრედია“ 1:2, „ტორპედო“ — „შუქურა“ 3:1, „საბურთალო“ — „კოლხეთი“ 6:3, „ბათუმი“-„დილა“ 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ — 62, „ტორპედო“ — 58, „სამტრედია“ — 55, „ლოკომოტივი“ — 48, „საბურთალო“ — 46, „ჩიხურა“ — 40, „დილა“ — 34, „ბათუმი“ — 32, „კოლხეთი“ — 20, „შუქურა“ — 13 ქულა.

ბომბარდირი: ირაკლი სიხარულიძე („ლოკომოტივი“) — 23 გოლი.

აქეთურ-იქითური

შემდეგ ტურში ითამაშებენ: „სამტრედია“ — „ბათუმი“, „შუქურა“ —„ჩიხურა“ (18 ოქტომბერი), „ლოკომოტივი“ —„საბურთალო“, „კოლხეთი“ — „ტორპედო“, „დილა“ — „დინამო“ (19 ოქტომბერი).

იტალია. „ინტერი“ — „მილანი“ 3:2, „იუვენტუსი“ — „ლაციო“ 1:2, „რომა“ — „ნაპოლი“ 0:1, „ფიორენტინა“ — „უდინეზე“ 2:1. **ესპანეთი.** „ატლეტიკო“ — „ბარსელონა“ 1:1, „ბილბაო“ — „სევილია“ 1:0, „ხეტაფე“ — „რეალი“ 1:2, „ბეტისი“ — „ვალენსია“ 3:6. **ინგლისი:** „ლივერპული“ — „მანჩესტერი“ 0:0, „სიტი“ — „სტოკი“ 7:2, „კრისტალ პალასი“ — „ჩელსი“ 2:1, „ტოტენჰემი“ — „ბორნმუთი“ 1:0, „უოტფორდი“ — „არსენალი“ 2:1. **გერმანია:** „ბაიერნი“ — „ფრაიბურგი“ 5:0, „დორტმუნდი“—„ლაიფციგი“ 2:3, „ლევერკუზენი“ —„ვოლფსბურგი“ 2:2, „ვერდერი“ — „გლადბახი“ 0:2. **საფრანგეთი:** „დიჟონი“ — „პსჟ“ 1:2, „ლიონი“ — „მონაკო“ 3:2, „ბორდო“ — „ნანტი“ 1:1, „სენტ ეტიენი“ — „მეცი“ 3:1, „სტრასბურგი“ —„მარსელი“ 3:3.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

მოერიდება თუ?..

არგენტინის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერგასვლის საფრთხე იმდენად რეალური იყო, რომ მთელი „ვერცხლის ქვეყანა“ შიშით იყო შეპყრობილი — ემანდ ეკვადორმა უბედურება არა ქნას და მუნდიალსმიღმა არ დაგვტოვოსო. საბოლოოდ ასრულდა ქომაგთა ოცნება და ლეო მესის და კომპანიას გაისად რუსეთში ვიხილავთ.

მშობლიური გუნდის საფრთხის წინაშე დგომას არგენტინის ნაკრების თავგადამკვდარ ინჩასებზე არანაკლებად განიცდიდა სრულიად არგენტინის ლამაზმანობა და რამდენიმე მათგანმა საყოველთაოდ ცნობილი დანაქადნებიც გააკეთა — თუ არგენტინა მუნდიალზე გავა, საჯაროდ გავშიშვლდები და ყველა მამრს ამით ძალიან გავახარებო.

დამქადნებელთა შორის იყო არგენტინელი მსახიობი და მოდელი ევანგელინა ანდერსონი, რომელიც ჯერ კიდევ ზაფხულში დებდა ნიფხვისამარად დარჩენის პირობას და ახლა უკვე ის დროა, გამოამჟღავნოს სიტყვის ქალობა. ისე, ქალბატონ ევანგელინას გაშიშვლებისადმი დიდი კომპლექსი რომ არ უნდა ჰქონდეს, ფოტოდანაც ცხადია.

როსტომ რაჭველიშვილი

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის რეკომენდაციები

დაავადებათა კონტროლის ცენტრი და სურსათის ეროვნული სააგენტო აზიურ ფაროსანას სახლში შეღწევისგან დასაცავად რამდენიმე რეკომენდაციას ავრცელებენ. აღნიშნულთან დაკავშირებით დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ამირან გამყრელიძემ და სურსათის ეროვნული სააგენტოს დირექტორის მოადგილემ ზურაბ ლიპარტიამ ერთობლივი ბრიფინგი გამართეს.

კერძოდ, ეს რეკომენდაციები შემდეგია: „გამოიყენეთ კარის ბადეები; გაიტანეთ ყველანაირი მცენარე თქვენი საცხოვრებლიდან, რადგან



მცენარეები განსაკუთრებულად იზიდავენ მავნებელს; ეცადეთ, დალუქოთ ყველა ბზარი, ნაპრალი და მავნებლის შემოსასვლელი ალტერნატიული ადგილები; თუ თქვენ სახლს აქვს ბუხარი, დახურეთ მისი საკვამური;

ფაროსანას შენობიდან მოსაშორებლად, შეესაძლებელია, მტვერსასრუტის გამოყენებაც, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მტვერსასრუტს ექნება არასასიამოვნო სუნი.

შეგიძლიათ გამოიყენოთ სატყუარა – ღამით, საპნიანი წყლით სავსე ჯამის თავზე მოათავსეთ ნათურა; აეროზოლის ტიპის ინსექტიციდების გამოყენებით შესაძლებელია ნაპრალებში და ბზარებში არსებული მავნებლების განადგურება. თუმცა, მსგავსი აეროზოლები არ უზრუნველყოფენ მწერისგან გრძელვადიან დაცვას.

დახურულ სივრცეებში ინსექტიციდების გამოყენებისას დარწმუნდით, რომ მათი გამოყენება ეფექტიანი და უსაფრთხოა.

საქართველოში რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალებები შეგიძლიათ იხილოთ მითითებულ ბმულზე: http://www.ncdc.ge/ka-GE/PublicInformation/“, – ნათქვამია დაავდებათა კონტროლის ცენტრის და სურსათის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციებში.

რაც შეეხება აზიური ფაროსანას სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაა. ის ამერიკის შეერთებულ შტატებში მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, პენსილვანიის შტატში გამოჩნდა, თუმცა ოფიციალურად იდენტიფიცირებულია 2001 წლიდან. ამჟამად აზიური ფაროსანა გავრცელებულია 34 შტატში და სოფლის მეურნეობის სერიოზულ მავნებლად მიიჩნევა. 2010 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში მავნებლით გამოწვეულმა ზარალმა 21 მილიარდი დოლარი შეადგინა.

ევროპაში მწერი პირველად 2008 წელს, შვეიცარიაში გამოჩნდა. 2014 წელს ის პირველად დაფიქსირდა რუსეთში – სოჭის ოლქში. 2015 წლიდან კი გავრცელდა აფხაზეთში (განსაკუთრებით სოხუმისა და გულრიფშის რაიონებში), ხოლო 2016 წლიდან მასობრივად დაიწყო გავრცელება დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში.

ზრდასრული აზიური ფაროსანა გამოსაზამთრებლად ადგილის ძებნას ადრეული შემოდგომიდან იწყებს. წლის ამ მონაკვეთში მათი ნახვა შესაძლებელია: შენობის გარეთ ან შიგნით, კარებზე, ფანჯრებზე, სხვა შემოსასვლელ ადგილებში, ჩამოცვენილ ფოთლებში და გარეთ არსებულ მცენერეებზე.

აზიური ფაროსანა არ კბენს ადამიანს და შინაურ ცხოველებს, არ გადააქვს რაიმე დაავადება და არ იწვევს ფიზიკურ ზიანს. თუმცა, შესაძლებელია, ზოგიერთ ადამიანს ჰქონდეს მაღალი მგრძობელობა სუნიანი ხოჭოს მიერ გამოყოფილი ალერგენების მიმართ.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

სანთელი

ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა უსათნოესი ქალბატონი

ლილი ტაბიძე-აბაშმაძისა

„საქმთავარენერგეტიკის“ უფროსის ყოფილი პირველი მოადგილის, ღვაწლმოსილი ენერგეტიკოსის, საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის წევრის, ბატონ ზერო აბაშმაძის მეუღლე.

15 ოქტომბერს მისი ნეშტი მუხათგვერდის სასაფლაოს პანთეონში მშობლიურ მიწას მიაბარეს.

გულწრფელად და დიდი გულისტკივილით ვუსამძიმრებთ მეუღლეს, ბატონ ზეროს, შვილებს – ქალბატონებს ნინოს და ნანის, შვილიშვილებს და ოჯახის ახლობლებს. მსუბუქი იყოს ქალბატონ ლილისთვის ქართული მიწა.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;
საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფკავშირი;
საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი

შალვა მგალობლიშვილი, დიმა ჯაიანი, რომა ლუტიძე, ოლეგ გავაშელი, გურამ მახოშვილი, ავთო პატარაია, ზურაბ გოგოხია იუწყებიან

ლეონარდო დევდარიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ყაჩაღს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

პროკურატურის ინფორმაციით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 3 იანვარს, დაახლოებით 17:25 საათზე, ი.ბ. ქ.თბილისში, ბახტრიონის ქუჩაზე მდებარე სს „საქართველოს ბანკის“ ექსპრეს ფილიალში „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით თავს დაესხა ბანკის თანამშრომლებს და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით დაეუფლა სს „საქართველოს ბანკის“ კუთვნილ თანხას 25 424, 97 ლარის ოდენობით.

სამართალდამცველებმა ი.ბ. 2017 წლის 18 იანვარს ქ.თბილისში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით), 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და ტარება) წარედგინა და აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ი.ბ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ექიმებისა და ექთნების დრო უნდა შეიმოწმდეს!

საქართველოში ექიმები ბევრია, მაგრამ მათი კვალიფიკაცია საეჭვოა. ექთნები, პირიქით, ცოტაა, მაგრამ მათი დონეც არადამაკმაყოფილებელია. გამოსავალი ერთია: მათი პროფესინალიზმი უნდა შემოწმდეს და ამიტომ მომავალი წლიდან, შესაძლოა, სერტიფიცირების გავლა მოუწიოთ.

პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი ჯანდაცვის სამინისტროსთან და ექიმთა ასოციაციებთან ერთად დიპლომის შემდგომი განათლების შესახებ კანონპროექტზე მუშაობს. შეიძლება მომავალი წლიდან ის ძალაშიც შევიდეს.

კომიტეტის თავმჯდომარის **აკაკი ზოიძის** განცხადებით, სახელმწიფოს მიდგომაა, სამედიცინო შეცდომის პრევენციაზე გააკეთოს აქცენტი და არა იმაზე, რომელი ექიმი დაისაჯოს და სერტიფიკატის მოქმედება შეუჩერდეს.

სტატისტიკური მონაცემებით, 2017 წელს სამედიცინო რეგულირების სააგენტომ 157 ექიმს პროფესიული პასუხისმგებლობა დააკისრა, ხოლო 67-ს სერტიფიკატის მოქმედება შეუჩერა.

ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე პრობლემიდან გამოსავალს დიპლომის შემდგომი განათლების კონცეფციის სრულყოფაში ხედავს და აცხადებს, რომ აუცილებელია ექიმის კვალიფიკაციის საკითხი მუდმივად გადამოწმდეს.

„მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის, რომ ერთხელ მივცეთ ექიმს სერტიფიკატი მთელი ცხოვრებით და შემდგომ არც განათლება დასჭირდეს, არც პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება. დღეს არ ხდება მისი პროფესიის გადამოწმება. არადა, ეს არის პირი, რომელსაც ყოველდღიურად უხდება ადამიანის სიცოცხლესთან შეხება.

ჩვენი მიდგომა გულისხმობს გარკვეული ინტერვალით გამოცდების ჩატარებას, პრაქტიკული ან ქულების სისტემის ჩამოყალიბებას. ამის პრაქტიკა მსოფლიოში არის, სადაც ხდება სერტიფიკატით დადასტურება იმისა, რომ ექიმის უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია კვლავ შეესაბამება იმ დონეს, რომელიც მას სჭირდება იმისთვის, რომ პაციენტის სიცოცხლე საფრთხეში არ ჩააგდოს“, – აღნიშნავს ზოიძე.

კიდევ უფრო დიდი პრობლემებია ექთნების კვალიფიკაციასა და რაოდენობის კუთხით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, 2015 წელს ქვეყანაში ექიმების რაოდენობა 24 307 იყო, ხოლო ექთნების – 15 781. 2016 წელს ექთნებისა და ექიმების რაოდენობამ იმატა, თუმცა ბალანსი იგივე დარჩა. კერძოდ, ქვეყანაში 17 093 ექთანი და 26 552 ექიმი იყო.

„საგანგაშო მაჩვენებელია ის, რომ ექთანი უფრო მცირე რაოდენობისაა, ვიდრე ექიმი. სხვადახვა ქვეყანაში მაჩვენებლები განსხვავებულია. საშუალოდ ერთ ექიმზე 4-5 ექთანი უნდა მოდიოდეს. ყველა წარმატებულ სამედიცინო სისტემაში ასეა და ზოგან ერთ ექიმზე 8 ექთანიც მოდის. არანაირ პარამეტრს არ აკმაყოფილებს ეს თანაფარდობა, რაც სტატისტიკიდან ჩანს. განვითარებად და პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც კი არ ხდება ასეთი რამ“, – აცხადებს ჯანდაცვის სფეროს ექსპერტი **სერგო ჩიხლაძე.**

ცალკე პრობლემაა ისიც, რომ მცირე ოდენობის ექთნების კვალიფიკაციაც საეჭვოა. მათი დონე ხშირად ვერ აკმაყოფილებს ვერანაირ სტანდარტს. ჯანდაცვის სამინისტრო რეგულირების დეპარტამენტის უფროსის **ნათია ნოღაიდელის** თქმით, ჯანდაცვის სამინისტრო ცდილობს, რომ საექთნო პროფესია რეგულირებადი გახდეს, რამაც მათი კვალიფიკაციის პრობლემა უნდა გადაწყვიტოს.

„ოფიციალური სტატისტიკა ან კვლევები ექთნების კვალიფიკაციის შესახებ არაა ჩატარებული, თუმცა ვიცით, რომ არის შემთხვევები, როცა ისინი მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ. სამინისტროს ამ მიმართულებითაც დაწყებული აქვს მუშაობა. საექთნო პროფესია ისეთივე რეგულირებადი უნდა გახდეს, როგორც ექიმის პროფესია. სერტიფიცირება საჭიროა. დასაქმებული ექთანი მთელი ცხოვრების განმავლობაში მზადებას უნდა გადიოდეს. ამას ევროკავშირის სტანდარტებიც ითხოვს“, – განმარტავს ნოღაიდელი.

გეძა დანელია

„საქართველო – მეღვინეობის აკვანი“!

DISCOVERY CHANNEL-მა ქართული ღვინის შესახებ ვიდეორგოლი მოამზადა. კლიპში საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ქართული კულტურის, ღვინის დამზადების ტრადიციის, ქვევრისა და ქართული სტუმართმოყვარეობის შესახებ საუბრობს. ინფორმაცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მოგვაწოდა. Discovery channel-ის ვიდეორგოლში ტურისტულად მიმზიდველი ადგილებია ნაჩვენები. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტელეკომპანიის კლიპი საქართველოს შესახებ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მილიონობით მაყურებელმა იხილა. ვიდეორგოლი გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, შვედეთში, დანიაში, ფინეთში, იტალიაში, ესპანეთში, პოლონეთში, უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, სერბეთში, სლოვენიაში, ხორვატიაში, ესტონეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გავრცელდა.

ვიდეოკლიპი საფრანგეთში, ქალაქ ბორდოში, ღვინის ცივილიზაციის ცენტრში Cite des Civilisations DuVin, მიმდინარე გამოფენას ეძღვნება. გამოფენა სახელწოდებით „საქართველო – მეღვინეობის აკვანი“ 31 ივლისს გაიხსნა და ნოემბრის ბოლომდე გაგრძელდება. საქართველო პირველი მიწვეული ქვეყანაა, რომელმაც ღვინის ცივილიზაციის ცენტრში მევენახეობა-მეღვინეობის გამოფენათა ციკლი გახსნა და ღვინის ცივილიზაციის მუზეუმის საპატიო მასპინძელი გახდა. ბორდოს ღვინის ცივილიზაციის ცენტრში საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან უნიკალური არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნიმუშებია წარმოდგენილი, რომლებიც ადასტურებს, რომ საქართველო უდავოდ უძველესი ღვინის ცივილიზაციის ქვეყანაა.

დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა 200 000-ით გაიზარდა

2017 წლის პირველ 9 თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა 33%-ით გაიზარდა და 856 186 შეადგინა. ვიზიტორთა 57% – ქართველი, 43% კი უცხოელია.

წელს ყველაზე მონახულებადი ტერიტორიების ტოპ 5-ეული ასე გამოიყურება: პრომეთეს მღვიმე, მარტვილის კანიონი, ყაზბეგის ეროვნული პარკი, სათაფლია და ოკაცეს კანიონი.

2017 წელს დაცულ ტერიტორიებს ვიზიტორები მსოფლიოს 97 ქვეყნიდან ესტუმრნენ, მათგან ყველაზე მეტი ვიზიტორი დაფიქსირდა გერმანიიდან, პოლონეთიდან, ისრაელიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან.



წელს ვიზიტორთა რაოდენობა განსაკუთრებით, 203%-ით გაიზარდა არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან, 64%-ით ინდოეთიდან, 63%-ით ლატვიიდან, 48%-ით ლიტვადან და რუსეთიდან. საქართველოს დაცულ ტერიტორიებს პირველად ესტუმრნენ ვიზიტორები ლიბანიდან, ლიბიიდან, ტაჯიკეთიდან, იემენიდან, ტუნისიდან, სამხრეთ სუდანიდან და ნეპალიდან.

2017 წლის 9 თვის განმავლობაში ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 3 947 317 ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2 050 439 ლარი) შედარებით 95%-ით არის გაზრდილი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ბუკინისტი იყიდის:



მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს – 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს – 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოც ბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.

591-75-35-38.

გასაცინებელი ა(მ)ბები

მაღლიერება

პარიზელი ექიმი თავის ნაცნობთან ერთად ქუჩაში სეირნობდა. უცებ ლამის მიწას შეეხო შუბლით, ისე მოკაკული მიემშვიდობა გზად შეხვედრილ მავანს.

– ვინ არის, რა კაცია, ეგრე მდაბლად რომ დაუკარი თავი? – ჰკითხა თანმხლებმა.

– მაგან 50 ათასი ფრანკი მაშოვნინა.

– ეგ რა, შენი მდიდარი პაციენტია?

– არა, ჩემი მდიდარი პაციენტი ქალის მზარეულია.

ფერმერები

ტეხასში გზაშარაზე ორი ფერმერი ხვდება ერთმანეთს. მანქანებს აჩერებენ.

– საიდან მოდიხარ? – ეკითხება ერთი ფერმერი მეორეს.

– ქალაქიდან, ხანძრისგან დავაზღვიე ჩემი ფერმა, შენ საით გაგიწევია?

– ქალაქში მივდივარ, ჩემი ყანები დასეტყვისაგან უნდა დავაზღვიო.

– აბა, შენა ყოფილხარ! – იხმამაღლა ხანძრისგან დამზღვეველმა. – რად გინდა ეგრეთი ტყუილი! სეტყვას რა, ძალით მოიყვან?

ზნეობის ქომაგი

მავანმა ინგლისელმა ლედიმ როგორც ზნეობის მკაცრმა ქომაგმა, პოპულარობა მოიპოვა იმ ქალაქში, სადაც ის ცხოვრობდა. ერთხელ მან სამრევლო კრებაზე ხმამაღლა განცხადა: ერთმა მრევლთაგანმა ჯონ სმიტმა ჩემდა ძლიერ ასაღელვებლად და აღსაშფოთებლად, ამ ბოლო დროს სმა დაიწყო და გალოთდაო. როცა ჰკითხეს ეგრეთი დასკვნა, საიდან გამოიტანეო, ლედიმ უპასუხა: გუშინ იმისი მოტოციკლეტი მთელი ღამე რესტორნის კართან იდგაო.

მეორე დღეს, მთელი ღამე ჯონ სმიტის მოტოციკლეტი იმ სახლის სადარბაზოსთან იდგა, რომელ სახლშიც ცხოვრობდა ლედი – ზნეობის თავგამოდებული ქომაგი.

უკანასკნელი სიტყვები

ამერიკელმა ბიზნესმენმა სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, თავის ორ ვაჟიშვილს უხმო.

– ყური მიგდეთ, შვილებო, ბოლო სათქმელი უნდა გითხრათ. აი, ჩემი ანდერძი: რაც მთავარია, პატიოსნები იყავით, განსაკუთრებით, საქმეში. მხოლოდ პატიოსნება მოგიტანთ სიმდიდრესაც, წარმატებასაც და პატივისცემასაც.

უფროსმა ვაჟიშვილმა შეპასუხება დააპირა, მაგრამ უმცროსმა გააჩერა:

– გაანებე თავი, ხომ ხედავ, თვითონაც არ იცის, რას ამბობს...

საწერი მანქანები

პარიზის ერთ-ერთ მაღაზიაში, რომელიც საწერი მანქანებით ვაჭრობს, გამოფენილია ახალი მოდელები. ერთი ღირს 300 ფრანკი, მეორე – 500.

– რატომ არის ასეთი დიდი სხვაობა? – კითხულობს მყიდველი. – ორივე ხომ ერთნაირია.

– ერთი, რომელიც იაფია, ორთოგრაფიული შეცდომებით წერს, – უხსნის გამყიდველი.



„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4808; ევრო - 2.9326;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2975;
100 რუბლი - 4.3011; თურქული ლირა - 0.6787;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4626;
1000 სომხური დრამი - 5.1630.

ამინდი 17 ოქტომბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +3 დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე 0, დღე +10
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +6, დღე +15
მთიანი რაიონები - ღამე +1, დღე +9
თბილისი: ღამე +8, დღე +13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge